უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №1-2 (32-33) 2014

პირველი უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო და სასწავლო კონკურსების შედეგებით, ბოლო წლებში უცვლელად ინარჩუნებს ლიდერის სტატუსს. ლიდერია უნივერსიტეტი აბიტურიენტთა მიერ მასზე გაკეთებული არჩევანითაც. 2013 წლის სტატისტიკა ამ ტენდენციას ადასტურებს:

თსუ – აბიტურიენტთა არჩევანი –გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2013 წელს თსუ ყველაზე რეიტინგული და მოთხოვნადი უმაღლესი სასწავლებელი იყო საქართველოში. ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის განცხადებით, „2013 წლის გამოცდების შედეგების რეიტინგული სიის მიხედვით, ასპროცენტიანი გრანტის მფლობელი ყველაზე მეტი სტუდენტი თსუ-ში ჩაირიცხა. თსუ წამყვანია ნაწილობრივი დაფინანსების მქონე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობითაც“. თსუ ლიდერია აბიტურიენტთა პირველი არჩევანის მიხედვითაც. 13562-მა აბიტურიენტმა პირველი არჩევანი სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე გააკეთა. ერთიანი ეროვნული

გაგრძელება მე-7 გვ.

გაცვლითი და საერთაშორისო პროექტები თსუ-ში

2006 წლიდან დღემდე თსუ-ს 503-მა სტუდენტმა გაიარა სასწავლო კურსი ევროპულ უმაღლეს სასწავლებელში გაცვლითი პროგრამებით. აქედან, მხოლოდ 2013-2014 წლის გაცვლით პროგრამებში 126 სტუდენტი მონაწილეობს, რაც წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებელია. ეს მხოლოდ იმ სტუდენტთა მონაცემია, რომლებმაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ ადმინისტრირებულ კონკურსებში მიიღეს მონაწილეობა და გაიმარჯვეს. გაცვლით პროგრამებს დამოუკიდებლად ახორციელებენ უნივერსიტეტის ფაკულტეტებიც. აქედან გამომდინარე, უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების გაცვლით პროგრამებში თსუ-ს გაცილებით მეტი სტუდენტი იღებს მონაწილეობას. ამჯერად მხოლოდ მათ ნაწილს შევეხებით:

გვ. 7

თსუ ფაკულტეტები - აბიტურიენტთა ცნობარი

ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების სიახლეებისა და აბიტურიენტთათვის არსებული შესაძლებლობების შესახებ.

გვ. 3-7

კულტურა და სპორტი უნივერსიტეტში

გვ. 8

სტუდენტები უნივერსიტეტის შესახებ

ამ ახალგაზრდებმა ერთი, ორი და შესაძლოა ოთხი მეტი წლის წინ არჩევანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტზე შეაჩერეს. უნივერსიტეტში სწავლის საკუთარი გამოცდილებაც აქვთ, მიღწევებიც ნახეს და ხარვეზებიც, წარმატებებიც და ნაკლიც, საკუთარი არგუმენტებიც დაუგროვდათ ამ არჩევანის სასარგებლოდ. ღღეს ისინი თავის მოსაზრებებს მკითხველს უზიარებენ:

ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მესამე კურსის კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების სტუდენტი ***გიგა ჩალაური*** ამბობს, რომ რაც ყველაზე მთავარია, აქ მოხვედრილი სტუდენტი ხარისხიან განათლებას იღებს.

„მაღალკვალიფიციური ლექტორები გვასწავლიან, რომლებიც არასალექციო საათებშიც გვეხმარებიან. ძირითადად სწორედ ამის დამსახურებაა, რომ მე, მესამე კურსელი სტუდენტი, უკვე ვმუშაობ. სტაჟირებას გავდივარ ერთ-ერთ სამინისტროში, რაც ჩემი საქმის მცოდნედ ჩამოყალიბების კარგ საშუალებას მაძლევს. თსუ-ში ჩაბარებამდე პროგრამირებასთან შეხება საერთოდ არ მქონია. ახლა კი ორეტაპიანი გასაუბრება გავიარე და, ვფიქრობ, რომ კონკურენტუნარიანიც ვარ, რაც თსუ-ს დამსახურებაა. თუ მოინდომებ, მიუღწეველი არაფერია, რადგან ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეობისას მოვინდომე თსუ-ში ასპროცენტიანი დაფინანსებით ჩავრიცხულიყავი, რასაც მივაღწიე. ამის შემდეგ უკვე სტიპენდიის მოპოვება გადავწყვიტე, და ღღეს პრეზიდენტის სტიპენდიანტი ვარ. შესაძლოა 150 ლარი ბევრი არ არის, მაგრამ სტუდენტისთვის არც ცოტაა. შესაბამისად მჯერა, რომ თუ საკუთარ თავზე იმუშავებ ყველაფერ მიაღწევ“, – ამბობს გიგა.

საუნივერსიტეტო პრობლემებიდან წინასწარი რეგისტრაციის დროს წარმოქმნილი წინაღობები ახსენდება, თუმცა ამბობს, რომ მის ფაკულტეტზე ეს საკითხი ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და სტუდენტების თანამშრომლობით მოგვარდა.

„საერთოდ, პრობლემების მოგვარების საუკეთესო გზა დიალოგი და თანამშრომლობაა. თითოეულმა ადამიანმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ უნივერსიტეტში ორასი კაცი კი არა, რამდენიმე ათასი სტუდენტი სწავლობს. როდესაც რამდენიმე ათასი სტუდენტი ერთდროულად ცდილობს საგნების არჩევას, ბუნებრივია რომ გარკვეული ხარვეზებიც წარმოიშობა. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ ეს პრობლემა გადავჭერით“, – ამბობს იგი.

მედიცინის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ***ნანა აჭაიძე*** განსაკუთრებით კმაყოფილია სასწავლო ბაზებით: „ეს არის ის კლინიკები, სადაც პრაქტიკას, კლინიკურ საგნებს გავდივართ. კმაყოფილი ვარ ჩვენდამი დამოკიდებულებითაც, რადგან აქ ისე გვიყურებენ, როგორც მომავალ კოლეგებს და არა სტუდენტებს. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი მოტივაციაა. საკმაოდ ძლიერი ჯგუფი მყავს. ჩემთან ძალიან ბევრი სტიპენდიანტია. მე ონკოლოგიური ქირურგია მაინტერესებს. გარდა ამისა, მედიცინის ფაკულტეტს აქვს ორგანიზაცია „ემსა თსუ“, რომელიც სტუდენტებს სტუდენტურ ცხოვრებაში დამატებით ჩართვის საშუალებას გვაძლევს. “ემსა“ ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის წევრი საფაკულტეტო ორგანიზაციაა. ჩვენთან ბევრი პროგრამა და პროექტია, რომელიც სტუდენტს საზღვარგარეთ გასვლისა და უცხოური გამოცდილების გაზიარების შანსს აძლევს. ამას გარდა, ფაკულტეტზე ბევრი ღონისძიებაა, რომელშიც აქტიურად ვართ ჩართული ან ჩვენ ვუკეთებთ ორგანიზებას. ასეთი იყო, მაგალითად, ფილტვის ქრონიკულ-ობსტრუქციულ დაავადებათა დღესთან დაკავშირებ-

გაგრძელება მე-2 გვ.

საერთაშორისო ელექტრონული რესურსები – თსუ სტუდენტებისა და პროფესორებისთვის

თსუ-ს უნიკალური ბიბლიოთეკაში, რომლის არსებობაც უკვე თითქმის საუკუნეს ითვლის, არაერთი რარიტეტი და მნიშვნელოვანი წიგნი თუ დოკუმენტია დაცული. ყოველწლიურად ბიბლიოთეკა ანახლებს ფონდს. ამის პარალელურად ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორებს და თანამშრომლებს საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის საშუალებასაც აძლევს: BioOne, Royal Society Journal Collection, New England Journal of Medicine, Oxford Textbook of Medicine, Oxford Online Dictionary da OECD-Library – ეს, ის ელექტრონული ბაზებია, რომელზე წვდომაც უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში გახდა შესაძლებელი.

თსუ ბიბლიოთეკის ინფორმაციული კვლევის განყოფილების გამგის დროებით მოვალეობის შემსრულებელის, ლევან ბებურიშვილის ინფორმაციით, თსუ-ს ელექტრონული რესურსებიდან ერთ-ერთი ყველაზე მრავალპროფილური მონაცემთა ბაზაა – EBSCOHost (http://search.epnet.com), რომლის მეშვეობითაც ხელმისაწვდომია სხვადასხვა დარგის სამეცნიერო ლიტერატურა, ნაშრომთა ანოტაციები და მიმოხილვითი ხასიათის მასალები. იგი მომხმარებელს სთავაზობს მრავალ დაპატენტებულ და პოპულარულ სრულტექსტიან მონაცემთა ბაზას ინფორმაციის წამყვანი მომწოდებლებისგან.

ელექტრონულ ბაზის – Royal Society Journal Collection (http://royalsocietypublishing.org) – კოლექციაში შედის რეფერირებადი ჟურნალები ფიზიკისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა დარგში.

სამედიცინო ხასიათის ელექტრონული რესურსი თსუ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოიძიონ – New England Journal of Medicine (http://www.nejm.org). მასში თავმოყრილია ბიოსამედიცინო მეცნიერებასა და კლინიკურ პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ახალი სამედიცინო კვლევის შედეგები, რეფერირებული სტატიები და თემატური ანგარიშები.

ასევე სამედიცინო სფეროს მრავალფეროვანი მასალებია – Oxford Textbook of Medicine (http://oxfordmedicine.com) – ბაზაში, რომლებიც ეხმარება სტუდენტებსა და დარგის სპეციალისტებს. ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული წიგნები და ჟურნალები, ასევე დიაგრამები, სქემები და ა.შ.

BioOne (http://www.bioone.org) – შეიცავს მასალებს ბიოლოგიის, ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სფეროებიდან. მომხმარებელს აქვს საშუალება გაეცნოს კვლევებს, რომლებსაც აქვეყნებს ამერიკის ბიოლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის წევრი სამეცნიერო საზოგადოებები, მუზეუმები და სხვა კვლევითი ორგანიზაციები.

დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს, მოიძიოს სიტყვების მნიშვნელობა, ეტიმოლოგია, სინონიმები, გამოყენების სპეციფიკა და ა.შ. ბაზაში Oxford Online Dictionary (http://oed.com). ეს არის ონლაინ-ლექსიონი, რომელიც შეიცავს მილიონობით სიტყვას.

OECD-Library (http://www.oecd-ilibrary.org) – მოიცავს მასალებს შემდეგი დარგებიდან: ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, რეგიონული და ურბანული განვითარება, ფინანსები, ვაჭრობა, განათლება, სოციალური მეცნიერებანი, ტექნოლოგიიები, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, და ა.შ.

ელექტრონული ბაზა Cambridge Jurnals Online (http://journals.cambridge.org), მომხმარებლებს სთავაზობს კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ 300-ზე მეტი დასახელების სამეცნიერო ჟურნალს, რომლებშიც სათანადოდაა გაშუქებული თანამედროვე სამეცნიერო პრობლემატიკა.

გარდა ამისა, თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის შუამდგომლობით, უკანასკნელ წლებში შეძენილი და ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები:

JSTOR (http://www.jstor.org) ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ელექტრონული ბაზა, რომელიც შეიცავს ელექტრონულ წიგნებსა და ჟურნალებს შემდეგი სფეროებიდან: ბიზნესი და ეკონომიკა, ჰუმანიტარული დისციპლინები, სამართალი, მედიცინა, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნი-

გაგრძელება მე-2 გვ.

უნივერსიტეტი – ჩემი არჩევანი

პროფესიისა და იმ უნივერსიტეტის არჩევანი, რომელშიც ეს პროფესია უნდა შეიძინო, ადამიანისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არჩევანია. სწორედ 17-18 წლის ასაკში მიღებული ეს გადაწყვეტილება განსაზღვრავს ადამიანის პროფესიული, და არა მხოლოდ, ცხოვრების შინაარსს, წარმატებას, სამომავლო გზას. ამიტომ მისი მიღება აუჩქარებლად, ბევრი არგუმენტის მოსმენისა და გააზრების შედეგად უნდა მოხდეს.

რატომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი? ამ კითხვაზე ყველას თავისი პასუხი აქვს და, იმედი მაქვს, თქვენც იპოვით ამ პასუხს.

ჩემთვის ეს პასუხი ჩემი, როგორც თსუ რექტორის გამოწვევებსაც შეიცავს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი უნივერსიტეტია საქართველოსა და კავკასიაში, სამეცნიერო-სასწავლო პროცესის დიდი ტრადიციით; მიუხედავად არაერთი განსაცდელისა, უნივერსიტეტმა შეძლო ამ ტრადიციის და ხარისხის სტანდარტის შენარჩუნება; დღეს ჩვენი მიზანი 21-ე საუკუნის მკაცრი მოთხოვნების დაკმაყოფილება და რეგიონში ლიდერის სტატუსის მყარად დამკვიდრებაა;

უნდა აღინიშნოს, რომ თსუ დღესაც ლიდერია თანამედროვე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის – საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო თუ სტუდენტურ კონკურსებში მოპოვებული გამარჯვებებით; ყველაზე მაღალრეიტინგიანი სტუდენტების უმეტესობაც დღემდე არჩევანს კვლავ თსუ-ზე აკეთებს;

უნივერსიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა პროფესურით – თავისი საქმის საუკეთესო პროფესიონალებს, მეცნიერებს თუ პრაქტიკოსებს, ყოველთვის პატივად მიაჩნდათ ამ უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება; ეს ტრადიცია გრძელდება დღესაც;

თსუ-ს აქვს უნიკალური საბიბლიოთეკო ბაზა. მას ყოველწლიურად ემატება ახალი სახელმძღვანელოები – მხოლოდ 2013 წლის შემოდგომაზე შევძელით შეგვეძინა 521 დასახელების 1305 სახელმძღვანელო და დავიწყეთ ბიბლიოთეკის ციფრულ მატარებლებზე გადატანის პროექტის დამუშავება; ბიბლიოთეკას ასევე აქვს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომა;

უნივერსიტეტის სტუდენტებს ემსახურება ათობით საბიბლიოთეკო დარბაზი, კომპიუტერული რესურს-ცენტრი ყველა კორპუსში, სასწავლო ლაბორატორიები, ტელე და რადიო სტუდია, იმიტირებული სასამართლოს თანამედროვე სტანდარტიით მოწყობილი სასწავლო დარბაზი (ერთადერთი საქართველოში) და ა.შ.

სტუდენტებს საშუალება აქვთ გამოავლინონ მეცნიერული უნარები – ჩაერთონ უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში, მიიღონ მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, რომელთა რიცხვს 2014 წლის გაზაფხულიდან ყოველწლიურად კიდევ ორი ახალი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი შეემატება; მათ საშუალება აქვთ გამოუშვან სტუდენტური სასწავლო თუ სამეცნიერო ჟურნალები და გაზეთები; მიიღონ მონაწილეობა არქეოლოგების, ეთნოლოგების, გეოგრაფების ექსპედიციებში; ცნობილ მედიკოსებთან ერთად გაიარონ სამედიცინო პრაქტიკა; გაიღრმავონ ცოდნა ფიზიკისა და ქიმიის თანამედროვე ლაბორატორიებში; 2014 წლის გაზაფხულიდან ამ ლაბორატორიებს ორი ახალი, მაღალტექნოლოგიური ლაბორატორია დაემატება; უნივერსიტეტი ასევე იქნება პირველი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში, სადაც წელს პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტი ამოქმედდება;

ახალგაზრდებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროექტებში, რომელთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება; სურვილის შემთხვევაში მიიღონ ორმაგი მაგისტრის ხარისხი ზოგიერთ სპეციალობაში, ისწავლონ ინგლისურ ენაზე, გაიღრმავონ ცოდნა ენის ცენტრებში, რაც მათ სწავლის საზღვარგარეთ გაგრძელებას გაუადვილებს;

უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ საშუალება თავიანთი ნიჭი და უნარები, სწავლისა და მეცნიერების გარდა, გამოავლინონ სპორტსა და კულტურაში. ფუტსალისა და კალათბურთის, მშვილდოსნობისა თუ ძალოსნობის, ალპინიზმისა და სხვა სპორტის მიმდევრებს აქ შეუძლიათ ახალი გუნდი და განვითარების ახალი შესაძლებლობები იპოვონ; ქალთა ანსამბლი „გორდელა“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი“, „თსუ-არტი“, თეატრი „სხვენზე“ – ეს უნივერსიტეტის კულტურული ღონისძიებების მთავარ მონაწილეთა მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია, რომელთა განვითარებასაც თსუ მხარს უჭერს;

თსუ სტუდენტებისთვის ასევე ტარდება არაერთი კონკურსი, რომელიც მათი შემოქმედებითი უნარების მხარდაჭერისა და წახალისების საშუალებას იძლევა;

ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ უპირატესობებისა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლასა და მოღვაწეობას გააჩნია დღეს. ჩვენი მიზანი ამ უპირატესობების გაზრდაა – იმედი გვაქვს ამ საქმეში წელსაც საუკეთესო ახალგაზრდები – თსუ-ს მომავალი სტუდენტები შემოგვიერთდებიან.

თსუ რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა

სტუდენტები უნივერსიტეტის შესახებ

პირველი გვერდიდან

გიგა ჩალაური

ნანა აჭაიძე

მარიამ ივანიშვილი

ული ღონისძიება, შიდსის დღესთან დაკავშირებით სისხლის დონაციის დღე... ახლა სტუდენტებისთვის ზამთრის სკოლის ორგანიზება გვინდა. ერთადერთი პრობლემა ალბათ ის არის, რომ ლექციები სხვადასხვა ადგილას ტარდება და ამის გამო ბევრ ადგილას გიწევს სიარული. ეს განსაკუთრებით საგრძნობი ჩემთვის მეორე კურსზე იყო“, – აღნიშნავს იგი. უშუალოდ სწავლის გარდა, ნანა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თსუ-ში ბევრი კონცერტი და ღონისძიება იმართება, რომელზეც სტუდენტებს უფასოდ დასწრების საშუალება აქვთ, მათ შორის უნივერსიტეტის დასის წარმოდგენებზე. თსუ იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ***მარიამ ივანიშვილისთვის*** ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნომერ პირველი უნივერსიტეტია. „როდესაც აბიტურიენტობის დროს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების შესახებ ვკითხულობდი, ყველა მეუბნებოდა, რომ თსუ იურიდიული ფაკულტეტი ყველაზე ძლიერი იყო. როდესაც ჩავაბარე, დავრწმუნდი, რომ ეს არ ყოფილა სტერეოტიპი. თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ გვასწავლიან პრაქტიკოსი იურისტები, რომლებიც ხშირად თავად არიან ბევრი სახელმძღვანელოს ავტორები. მათგან ყველა საჭირო ინფორმაციას ვიღებთ, რაც შემდეგ, როგორც პრაქტიკოს იურისტებს, გამოგვადგება. რამდენადაც ვიცი, სწავლის მაღალი დონეა სხვა ფაკულტეტებზეც. რაც თსუ-ში ჩავაბარე, ბევრი მეგობარი შევიძინე. რაღაც საკითხზე ერთნაირი შეხედულება გვაქვს, მაგრამ არის ასევე საკითხები, რაზეც ერთად შეკრებისას ვბჭობთ, ვდავობთ – ეხება ეს იურიდიულ თუ სხვა თემებს. უნივერსიტეტში ძალიან ბევრი აქტივობაა, რომელშიც სტუდენტს ჩართვა შეუძლია. პირადად მე პროექტ „თსუ დესპანის“ მონაწილე ვარ. გარდა ამისა, ჩვენს ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ჯგუფი, რომლის მიერ ორგანიზებული კონკურსის ფინალში გავედი. სწორედ ამის წყალობით ვიწყებ სტაჟირებას საქალაქო სასამართლოში. უნივერსიტეტში ბევრი გაცვლითი პროგრამაც არსებობს, თუმცა პირადად მე საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა მაგისტრატურიდან მირჩევნია. ეს ალბათ პრობლემა არ იქნება, რადგან თსუ დიპლომა საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების მიერ აღიარებულია“, – ამბობს მარიამი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტმა, ინგლისური ფილოლოგიის განხრით, ***ხათუნა ბუსკივაძემ*** ამ სპეციალობაზე ჩაბარება ჯერ კიდევ სკოლის ასაკში გადაწყვიტა. ამბობს, რომ უნივერსიტეტის შერჩევა არ გასჭირვებია, რადგან ეს ფაკულტეტი ყველაზე ძლიერი სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშია. თავის პოზიციას ასე განმარტავს: „ვფიქრობ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ ფაკულტეტით დღეს საქართველოს მასშტაბით უპირველესია. სწავლით კმაყოფილი ვარ. თსუ გვაძლევს შესაძლებლობას გვყავდეს უცხოელი მასწავლებლები ენის პრაქტიკისათვის. სტუდენტს როგორც პიროვნული, ასევე, პროფესიული ზრდის საშუალება აქვს. შესაძლებლობა ეძლევა გახდეს კონკურენტუნარიანი, ჩაერთოს ჰუმანიტარულ კვლევით ღონისძიებებში და, ამასთან, სტუდენტური ცხოვრებაც შეიგრძნოს. უნივერსიტეტის თვითმმართველობა ხშირად აწყობს საგანმანათლებლო თუ გასართობ საღამოებს. სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით უპირატესობად, პირველ რიგში, მაღალხარისხიან განათლებას მივიჩნევ, რომელსაც ჩვენი ფაკულტეტი უზრუნველყოფს. გარდა ამისა, თსუ პრესტიჟული და კონკურენტუნარიან დასაქმების ბაზარზე. ვფიქრობ ჩვენთვის, ჰუმანიტარებისთვის, დასაქმების ვრცელი არეალი არსებობს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაწესებულებებში. უნივერსიტეტის პრობლემად კი საგნების არჩევის პროცესს მივიჩნევ, რაც წინა წელთან შედარებით გამოსწორებულია“.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტი ***ნინო სუდაძე*** უნივერსიტეტში აბიტურიენტებს ჩაბარებას სწავლის მაღალი ხარისხის გამო ურჩევს. „გვყავს პროფესორები, რომლებიც მაქსიმალურად გვიწყობენ ხელს. მგონი საგამოცდო ბარიერის მოთხოვნად 21 ქულა ყველა უნივერსიტეტში არ არის განსაზღვრული. გამოცდაზე არ დაიშვები, თუ მანამდე 21 ქულამდე არ მოაგროვე. ეს გაიძულებს უფრო კარგად ისწავლო. ჩვენი სპეციალობაც საინტერესოა, რადგან თანამედროვეა და იმ პრობლემებს ეხმაურება, რაც დღეს ჩვენი საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი. გარდა ამისა, ჩვენს მიმართულებაზე პრაქტიკუმის ფარგლებში ვატარებთ საინტერესო კვლევებს, რაშიც ჩვენი ლექტორები გვეხმარებიან. ჩვენი მასწავლებლები ხშირად თავად გვრთავენ კვლევებში, რომლის ხელმძღვანელებიც არიან. ეს, სპეციალობის კუთხით, პრაქტიკული ცოდნის და გამოცდილების მიღების კარგი საშუალებაა. მაგალითად, ბოლოს ლიკა წულაძის კვლევაში ვიყავით ჩართული და მთელი საქართველოში ვატარებდით გამოკითხვებს“, – გვიყვება ნინო.

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების მესამე კურსის სტუდენტი ***ნინო მათიაშვილი*** აღნიშნავს, რომ: როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უპირატესობაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, ალბათ, ის უნდა ვთქვათ, რომ თსუ-ში, სწავლის მაღალ ხარისხთან შედარებით, სხვა მაღალხარისხიანი უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, დაბალი გადასახადია. გარდა ამისა, აქ ძალიან ბევრი პროგრამა და პროექტია, რომელიც წარმატებული სტუდენტისათვის გამოსადეგია. ერთ-ერთია, მაგალითად, სტუდენტთა აკადემიური შედეგების გათვალისწინებით საუნივერსიტეტო დაფინანსება, რომელიც მე უკვე მესამე წელია მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბაზარზე დასაქმების პრობლემა არსებობს, ჩვენთან ეს საკითხი მწვავედ არ დგას, რადგან, კონკურენტუნარიანები ვართ და ჩვენ – მარკეტინგის სპეციალობის მქონე კადრებზე, მოთხოვნა არსებობს. ეს იმით არის განპირობებული, რომ ჩვენს ფაკულტეტზე ალბათ ყველაზე მეტი გაცვლითი პროგრამა და პრაქტიკის შესაძლებლობაა. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ გერმანელმა ბიზნესმენმა კლაუს ჰიმმა ჩვენი ფაკულტეტის სამი სტუდენტი წაიყვანა თავის საწარმოში პრაქტიკაზე“, – აღნიშნავს ნინო.

ხათუნა ბუსკივაძე

ნინო სუდაძე

ნინო მათიაშვილი

საერთაშორისო ელექტრონული რესურსები – თსუ სტუდენტებისა და პროფესორებისთვის

პირველი გვერდიდან

ერებანი, სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებანი და სხვ.

HINARI (Health Access to Research Initiative) (http://www.who.int/hinari) მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დაარსებული ელექტრონული სამეცნიერო ბაზა, რომელიც მოიცავს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს კოლექციას ბიომედიცინისა და ჯანდაცვის სფეროებიდან. ელექტრონულ ბაზაში სულ დაცულია 150-ზე მეტი გამომცემლობის მასალები. მათ შორისაა – Blackwell, Elsevier Science, Springer Verlag, the Harcourt Worldwide STM Group, Wolters Kluwer International Health & Science და ა.შ. HINARI მოიცავს სულ 11.400 ელექტრონულ ჟურნალს 30 ენაზე და 18.500 ელექტრონულ წიგნს.

გარდა ამ ბაზებისა, როგორც ლევან ბებურიშვილი აღნიშნავს, თსუ-ს სტუდენტებისთვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია უფასო ელექტრონული რესურსებიც, სადაც თითქმის ყველა პროფესიისთვის სასურველი ლიტერატურის მოძიებაა შესაძლებელი.

თსუ-ს ბიბლიოთეკაში სამომავლოდ იგეგმებასაკმაოდ მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი საბიბლიოთეკო ბაზის – Wiley-blackwell standard journal collection – შეძენა. აღნიშნული ბაზა მრავალპროფილური და პოლითემატურია და მოიცავს ტექნიკურ, ჰუმანიტარულ, სოციალურ, მედიცინის მეცნიერებათა დარგებში განხორციელებული კვლევების ელექტრონულ რესურსებს. საუნივერსიტეტო საზოგადოების ამოცანაა მსოფლიოს გამორჩეული და წამყვანი გამომცემლობის Elsevier-ის, ან Thomson Reuters-ის, ელექტრონული რესურსების წვდომის უზრუნველყოფაც.

თსუ ფაკულტეტები 2014

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ისტორია – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია უკავშირდება პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომლის ორი ფაკულტეტიდან ერთ–ერთი სიბრძნისმეტყველების იყო. მას სათავეში ედგნენ ევროპიდან ახალდაბრუნებული გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, რომლებმაც ფაკულტეტზე კვლევისა და სწავლების მოწინავე დასავლური სტანდარტები დაამკვიდრეს.

თანამედროვეობა – დღევანდელი სახით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 2005 წელს ჩამოყალიბდა ყოფილი ფილოსოფიის, ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტების ბაზაზე. ამჟამად ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის შემდეგი სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებები: ფილოსოფია; ფილოლოგია; ისტორია; არქეოლოგია; ეთნოლოგია; კულტურის კვლევები; კავკასიოლოგია; აღმოსავლეთმცოდნეობა; ხელოვნებათმცოდნეობა; სახვითი ხელოვნება; კინო-ტელე ხელოვნება; განათლების მეცნიერებები.

ფაკულტეტის მისია – ფაკულტეტის მისიაა ტოლერანტული და კონკურენტუნარიანი სასწავლო და კვლევითი გარემოს შექმნა; ინტელექტუალური, მოქალაქეობრივი, კულტურული და მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების დანერგვა; კვლევის შედეგებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ინტეგრირება საუნივერსიტეტო სივრცეში. ფაკულტეტის ამოცანაა ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების მხარდაჭერა, სასწავლო პროცესის მუდმივი დახვეწა; სტუდენტების ჩართულობის, იდეების თავისუფლების, შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების ხელშეწყობა. ერთი მხრივ, ტრადიციების შენარჩუნება და გადაცემა, ხოლო, მეორე მხრივ, ინოვაციებისა და თანამედროვე გამოწვევების მიღება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი უძველესი ფაკულტეტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი რეგიონში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, დიდი სამეცნიერო პოტენციალის მქონე, დინამიკურად განვითარებადი და კონკურენტუნარიანი ფაკულტეტია, რომელზეც სწავლება და კვლევა მიმდინარეობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყველა ძირითადი მიმართულებით.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი იზიარებს და პატივს სცემს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა: აკადემიური თავისუფლება, პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა, მრავალფეროვნება, სამართლიანობა.

სამართლიანი და ობიექტური აკადემიური სივრცის შექმნა სტუდენტების მოტივაციისა და აკადემიური მოსწრების ამაღლების აუცილებელი წინაპირობაა, ამდენად ფაკულტეტი ბრუნავს ამ მიმართულებით მრავალფეროვანი ღონისძიებების გატარებაზე.

ფაკულტეტზე სწავლობს 4647 სტუდენტი, მუშაობს 200 პროფესორი, საბაკალავრო პროგრამების რაოდენობა – 30; სამაგისტრო პროგრამების რაოდენობა – 37; სადოქტორო პროგრამების რაოდენობა – 11.

ჰუმანიტარულ დარგებში მეცნიერული კვლევების განვითარება და კვლევაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო საქმიანობა ფაკულტეტის პრიორიტეტია.

სასწავლო პროგრამები ეფუძნება ამა თუ იმ დარგში არსებულ გამოცდილებასა და სამეცნიერო მიღწევებს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ინოვაციების გამოყენებით.

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებს ვთავაზობთ აკრედიტებულ, მაღალხარისხიან, ჰუმანიტარული დარგების ყველა სფეროში ინოვაციურ კვლევაზე დაფუძნებულ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ-ერთი ძლიერი სამეცნიერო კერაა. აქ მიმდინარეობს კვლევები ფილოსოფიისა და ფილოლოგიის, ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის, ისტორიისა და ხელოვნებათმცოდნეობის, აღმოსავლეთმცოდნეობისა და კულტუროლოგიის, განათლების მეცნიერებებისა და პედაგოგიკის მიმართულებით. მიღებული შედეგები წარმოდგენილია სამეცნიერო პუბლიკაციებისა და საერთაშორისო პრეზენტაციების სახით. სახვითი ხელოვნებისა და კინო-ტელერეჟისურის მიმართულებები ასევე ფაკულტეტის პოპულარული მიმართულებებია.

2013-2014 სასწავლო წელს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი გახდა 765 აბიტურიენტი.

მათგან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ 5 საბაკალავრო პროგრამაზე ჩაირიცხა 425 აბიტურიენტი:

- ქართული ფილოლოგია – 200;
- ისტორია – 150;
- არქეოლოგია – 25;
- ფილოსოფია – 25;
- დაწყებითი განათლება – 25;

საბაკალავრო პროგრამების ძირითადი პრინციპებია:

- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება:
- ძირითადი (Major) და დამატებითი (Minor) სპეციალობების, თავისუფალი არჩევითი საგნების და თავისუფალი კრედიტების მრავალგვარი კომბინაციის შესაძლებლობა.
- სტუდენტის მობილობის უზრუნველყოფა, მისი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება.

ფაკულტეტზე პრიორიტეტულია უცხო ენების სწავლება. ფაკულტეტი სტუდენტებს თავაზობს:

- ევროპულ ენებს (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, ახალი ბერძნული, ნორვეგიული, შვედური...)
- სლავურ ენებს (რუსული, პოლონური, ჩეხური, ბულგარული).
- აღმოსავლურ ენებს (არაბული, სპარსული, თურქული, ებრაული, იაპონური, ჩინური);
- კლასიკურ ენებს (ლათინური, ძველი ბერძნული).
- კავკასიურ და კავკასიაში გავრცელებული ენებს (აფხაზური, ადიღეური, ჩეჩნური, სომხური, ოსური, აზერბაიჯანული).
- ქართველურ ენებს (ქართული, სვანური, მეგრული, ლაზური);

საბაკალავრო პროგრამების სპეციალობებია: ისტორია; არქეოლოგია; ეთნოლოგია; კავკასიოლოგია; ფილოსოფია; ხელოვნებათმცოდნეობა; კულტურის კვლევები; ამერიკისმცოდნეობა; არაბისტიკა; ირანისტიკა; თურქოლოგია; ებრაისტიკა-არამეისტიკა; ასირიოლოგია; არმენოლოგია-ქართული ფილოლოგია; ინგლისური ფილოლოგია; გერმანული ფილოლოგია; ფრანგული ფილოლოგია; ესპანური ფილოლოგია; იტალიური ფილოლოგია; სკანდინავიური ფილოლოგია; კლასიკური ფილოლოგია ბიზანტიური ფილოლოგია; ახალბერძნული ფილოლოგია; რუსული ფილოლოგია; დაწყებითი განათლება.

დამატებითი სპეციალობა – პედაგოგიკა, შორეული აღმოსავლეთი; რეგიონმცოდნეობა: თეოლოგია; გამოყენებითი ენათმეცნიერება.

პროფესიული და სხვა საგანმანათლებლო პროგრამები: ტანსაცმლის დიზაინი (IV და V საფეხური); კინო-ტელე რეჟისორი (IV და V საფეხური); ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტებისათვის).

ბაკალავრიატზე ჩასაბარებლად აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს გამოცდები შემდეგ საგნებში:

ქართულ ენასა და ლიტერატურაში; უცხო ენაში; ზოგად უნარებში; ლიტერატურაში ან ისტორიაში.

ცხადია, ფაკულტეტზე არაერთი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაა, რომელთა სრული ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ თსუ ვებ-გვერდზე: www.tsu.edu.ge.

კურსდამთავრებულთა დასაქმება

საჯარო დაწესებულებები, მართვის სახელმწიფო ორგანოები, განათლების, მეცნიერების, კულტურის სფერო, შესაბამისი პროფილის სასწავლო – საკვლევი დაწესებულებები, სკოლები, ინსტიტუტები, მუზეუმები, არქივები, გამომცემლობები, ბიბლიოთეკები, ტურისტული ფირმები, სამხატვრო გალერეები, მასმედია, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამების შეთავაზებით გამოიჩევა და მოიცავს დასავლურ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში სოციალურ მეცნიერებაში შემავალ თითქმის ყველა სპეციალობას. ფაკულტეტი შედგება 7 სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებისგან, სადაც სტუდენტებს სთავაზობს შემდეგ საბაკალავრო პროგრამებს:

- პოლიტიკის მეცნიერება (major, minor)
- ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (major, minor) (ამ მიმართულებაზე შეთავაზებულია როგორც ქართულენოვანი, ისე რუსულენოვანი პროგრამები)
- საერთაშორისო ურთიერთობები (მაჯორ)
- საზოგადოებრივი გეოგრაფია (major, minor)
- სოციალური მუშაობა (major, minor)
- სოციოლოგია (major, minor)
- ფსიქოლოგია (major, minor)
- გენდერის კვლევები (minor)

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების გარდა, ყველა მიმართულება სწავლების ძირითადი სპეციალობასთან (major – 120 კრედიტი) ერთად, ასევე გთავაზობთ სწავლების დამატებით (minor – 60 კრედიტი) სპეციალობებს, რომელთა კომბინირებაც სტუდენტის სურვილზეა დამოკიდებული. გარდა ჩამოთვლილი სპეციალობებისა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ასევე გთავაზობთ დამატებით სპეციალობას გენდერის კვლევებში (მინორ – 60 კრედიტი), რაც უმნიშვნელოვანესი მიღწევაა მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ფაკულტეტზე ჩარიცხვა – ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამებზე ჩარიცხვა ცალკე სიებით ხორციელდება, ხოლო ყველა სხვა პროგრამაზე ჩარიცხვა იწარმოებს საერთო საფაკულტეტო სიებით და სტუდენტი სწავლის პერიოდში განსაზღვრავს სწავლების ძირითად დარგს (პოლიტიკის მეცნიერება, საზოგადოებრივი გეოგრაფია, სოციალური მუშაობა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია). საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ფაკულტეტის კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი (Bacalaurus Artium) შესაბამის დარგში. საბაკალავრო პროგრამის ფორმატის დაგეგმვა სტუდენტის პრეროგატივაა და მას სასწავლო პორცესის დაგეგმვაში თავისუფალი არჩევანის უფლება აქვს.

ინგლისური ენის სწავლება – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სპეციალობების საჭიროებებიდან გამომდინარე, სავალდებულოა ინგლისური ენის შესწავლა, მიუხედავად იმისა, თუ რა უცხო ენა ჩააბარა სტუდენტმა მისაღებ გამოცდაზე. ფაკულტეტი ხელმძღვანელობს ინგლისური ენის სწავლების შედეგზე ორიენტირებული სისტემით, რაც გულისმობს ინგლისური ენის 2 დონეზე ათვისებას. ამ მიზნით, პირველკურსელებს უტარდებათ ტესტირება, რაც განსაზღვრავს ინგლისური ენის ცოდნის დონეს და ამის შესაბამისად, იგეგმება კრედიტების ოდენობა, რომელიც საჭიროა მე-2 დონის მისაღწევად. ინგლისური ენის სწავლების ვალდებულებისგან თავისუფლდებიან ის სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისური ენის 2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ შემდეგ სერტიფიკატებს (CEFR B2; IELTS exam-5; BEC exam and CELS exam – Vantage; Cambridge exam FCE; Pritman ESOL International; TOEIC-541; TOEFL (500 – paper based; 173-computer based; 61- internet based)). თუმცა, მათთვის მაინც სავალდებულოა, სწავლების ძირითადი სპეციალობის შესაბამისი დარგობრივი ინგლისური ენის კურსის გავლა.

მისაღები კონკიგენტი – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი მომავალ სასწავლო წელს 690 სტუდენტს ელოდება. გამოკითხვებით დასტურდება, რომ ფაკულტეტზე ჩაბარების სურვილი განპირობებულია: ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული პროგრამების მრავალფეროვნებით, ფაკულტეტზე არსებული აკადემიური პერსონალის კვალიფიციურობით, დასაქმების პერსპექტივით და სწავლების ხარისხით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფაკულტეტი იძლევა ძირითადი და მეორადი სპეციალობების კომბინირების ისეთი შესაძლებლობას, რომ გაიზარდოს დასაქმების ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობა. ფაკულტეტზე მოხვედრილი სტუდენტები გამოირჩევიან საგრანტო დაფინანსების მაღალი მაჩვენებლებით. ყოველწლიურად, ფაკულტეტზე მოხვედრილ 100 პროცენტიანი გრანტის მფლობელთა რაოდენობა 60-65 პროცენტს შორის მერყეობს. გამომდინარე იმ რეალობიდან, რომ ფაკულტეტმა გაზარდა მათემატიკის გარდა, მისაღებ გამოცდებზე გადასალახი ბარიერი, მომავალ წელს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი გაცილებით მეტი კომპეტენციებისა და უნარების მფლობელ სტუდენტებს ელოდება.

ფაკულტეტის რესურსები – ფაკულტეტს ემსახურება 97 პროფესორი, ასევე მოწვეული პედაგოგები და საზღვარგარეთიდან მოწვეული პროფესორები. ფაკულტეტი აქტიურად მუშაობს სასწავლო მასალის ქართულ ენაზე თარგმნისა და სტუდენტებისთვის შეთავაზების პროექტზე, რომელიც სტუდენტს ქართულენოვანი მასალებით ხელმძღვანელობის შესაძლებლობებს გაცილებით აფართოებს. ფაკულტეტზე მოქმედებს 3 რესურს-ცენტრი, სადაც ტარდება პრაქტიკული ხასიათის სასემინარო შეხვედრები და სტუდენტებს ეძლევათ დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები არქეოლოგიურ ექსპედიციაზე

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრი

თითოეულ მიმართულებას ემსახურება 3-3 სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი სტუდენტთა მომსახურეობის ცენტრთან ერთად, რომელთა წარმომადგენლებიც ყოველთვის მზად არიან ნებისმიერი ხასიათის დახმარება აღმოუჩინონ სტუდენტს და გასწიონ შესაბამისი მომსახურეობა.

მულტიმედია-ცენტრი – 2013 წლის მონაპოვარია თსუ მულტიმედია-ცენტრის პროექტი, რომელიც 2013 წლის სექტემბერში გაიხსნა. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება სწავლებას ახორციელებს საქართველოში შეერთებული შტატების საელჩოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსებით შექმნილ მულტიმედია-ცენტრის ბაზაზე. ცენტრი აღჭურვილია უახლესი აპარატურით, რაც საკმაოდ მაღალი მედია-პროდუქტის წარმოების შესაძლებლობას იძლევა. პროექტის ფარგლებში სრულიად განახლდა და ახალი ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვა სატელევიზიო სტუდია, პირდაპირი ეთერის რეჟიმში შესაძლებელია სხვადასხვა თოქ-შოუებისა და გადაცემების ჩაწერა და მომზადება. ახალ „ნიუსრუმში“ სტუდენტს შეუძლია მოამზადოს, დაამონტაჟოს და ვებ-გვერდზე განათავსოს თავისი პუბლიკაცია, ვიდეო თუ აუდიო მასალა. მნიშვნელოვანია, რომ მულტიმედია ცენტრით სარგებლობის უფლება ეძლევა ფაკულტეტის ნებისმიერი მიმართულების სტუდენტს, რომელსაც შეუძლია საკუთარი საინტერესო იდეა და ინიციატივა აქციოს მედია პროდუქტად და შესთავაზოს საზოგადოებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცენტრის მუშაობაში თავად სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ და აქვთ საშუალება თავად იყვნენ პროდიუსერები, რეპორტიორები, ოპერატორები, რეჟისორები, მემონტაჟეები, „ლაივ-ბლოგერები“, რედაქტორები და მწერლები. აღნიშნულის დამადასტურებელია შესაბამისი ვებ-გვერდი – http://multimedia.tsu.edu.ge/ka/centre.

სტუდენტების მხარდაჭერა – ფაკულტეტი სტუდენტებს მხარდაჭერას უცხადებს სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობით; მათი საველე პრაქტიკების დაფინანსებით (საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტებს უტარდებათ საველე პრაქტიკა თბილისის შემოგარენსა და საქართველოს რეგიონში), ყოველწლიურად 5-5 ჟურნალისა და გაზეთის დაფინანსებით, რომელიც სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია; საზღვარგარეთ კონფერენციებში, სემინარებსა და მოდელირებულ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ხარჯების დაფარვაში (2013 წელს ფაკულტეტმა 70 სტუდენტი დააფინანსა). ფაკულტეტის სტუდენტებს სწავლის პერიოდში აქვთ საზღვარგარეთ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების გზით. ამავდროულად, ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები ფინანსდებიან საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიით (ყოველსემესტრულად 133 სტუდენტი იღებს აღნიშნულ სტიპენდიას). სტუდენტებს სწავლის პერიოდში ეძლევათ სხვადასხვა კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ფაკულტეტი აქტიურად უჭერს მხარს თავად სტუდენტების მიერ ინიცირებულ კონფერენციებსაც.

თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მისია არის: მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველყოფა; მაღალი დონის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების წარმოება; კვლევაზე დაფუძნებული სწავლების განხორციელება; მოტივირებული და ნიჭიერი სტუდენტების მიზიდვა; კვლევებისა და სწავლების ინტერნაციონალიზაცია.

ფაკულტეტი აერთიანებს 8 დეპარტამენტს, 20 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, 35 სასწავლო-კვლევით ლაბორატორიას. ძირითად სასწავლო და კვლევითი საქმიანობას ახორციელებს შემდეგი დეპარტამენტები:

მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, გეოგრაფიის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის.

სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი უდავო ლიდერია უნივერსიტეტში და ამ კუთხით მას გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოში: ჩვენ გვაქვს ყველაზე მეტი დაფინანსებული აღგილობრივი და საერთაშორისო პროექტი, ყველაზე მეტი პუბლიკაცია აღიარებულ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო გამოცემებში; ამ ფაკულტეტის სახელით ასობით მოხსენება კეთდება სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებზე. ფაკულტეტის პერსონალის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში ყოველწლიურად ასზე მეტია. ასეთი შედეგების მიღწევა მხოლოდ მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს შეუძლიათ და ეს პროფესიონალები დღეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოღვაწეობენ.

ფაკულტეტის სამეცნიერო პოტენციალი ნათლად ჩანს საფაკულტეტო კონფერენციაზე – http://conference.ens-2013.tsu.ge/, http://conference.ens-2014.tsu.ge/. კონფერენციის მუშაობაში პროფესორებთან ერთად მონაწილეობენ დოქტორანტურის, მაგისტრატურის და ბაკალავრიატის სტუდენტები.

ფაკულტეტის პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია საშუალებას გვაძლევს სტუდენტებს შევთავაზოთ მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამები სწავლების სამივე საფეხურზე: ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში.

ფაკულტეტი 2014-2015 სასწავლო წლისთვის აბიტურიენტებს სთავაზობს 11 განახლებულ საბაკალავრო პროგრამას:

მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, კომპიუტერული მეცნიერებები (ქართულ-ფრანგული), ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია, გეოგრაფია, გეოლოგია, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, ეკოლოგია.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებას სახელმწიფო უჭერს მხარს და ფაკულტეტის პოპულარობაც აბიტურიენტებს შორის ყოველწლიურად იზრდება. 2014 წელს 100%-იანი სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება გამოიყო საბაკალავრო პროგრამებზე: მათემატიკა – 100 ადგილი, ფიზიკა – 100 ადგილი, ქიმია – 100 ადგილი, ბიოლოგია – 100 ადგილი. გარდა ამისა, კვლავ ძალაში დარჩა 100%-იანი, 70%-იანი და 50%-იანი სასწავლო გრანტის მოპოვების შესაძლებლობაც.

საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილი ხორციელდება უცხოელი კოლეგების მონაწილეობით, როგორც ბაკალავრიატში, ასევე მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. ზოგიერთი პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომთან ერთად მიიღებენ ევროპული უნივერსიტეტის დიპლომს.

განათლების პირველ საფეხურზე – ბაკალავრიატში, ინტერესების შესაბამისად სტუდენტებს შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვაში; ფაკულტეტი სტუდენტებს მრავალფეროვან არჩევანს თავაზობს:

ძირითად სპეციალობასთან ერთად სტუდენტს შეუძლია დაეუფლოს დამატებით სპეციალობას. რესურსის არსებობის შემთხვევაში დამატებითი სპეციალობა შესაძლებელია არჩეული იქნეს როგორც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ასევე უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებზე არსებული პროგრამებიდან;

ძირითად სპეციალობასთან ერთად სტუდენტს შეუძლია მიიღოს სკოლის მასწავლებლისთვის აუცილებელი განათლება;

სტუდენტს შეუძლია სწავლისთვის განკუთვნილი დრო მთლიანად მოახმაროს ძირითადი სპეციალობის გაღრმავებულ შესწავლას;

ძირითად სპეციალობასთან ერთად სტუდენტებს შეუძლიათ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან აირჩიონ სასწავლო კურსების კონცენტრაცია.

წარჩინებული სტუდენტები ჩართული არიან კვლევით სამუშაოებში, ზოგიერთი მათგანი ბაკალავრიატის დასრულებამდეც კი ასწრებს მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგების მიღებას, რეცენზირებად უცხოურ ჟურნალებში კვლევის შედეგების გამოქვეყნებას. ფაკულტეტის სტუდენტები წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო სტუდენტურ ოლიმპიადებში. სწავლის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა ნაწილი სწავლას აგრძელებს შემდეგ საფეხურზე როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის გარეთ. დღეს ფაკულტეტის კურსდამთავრებულები სწავლობენ სტენფორდში, ლონდონში, ციურიხში, ბონში და კიდევ მრავალ სხვა ცნობილ უნივერსიტეტში.

ყოველწლიურად იზრდება ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტთა რიცხვი, ვინც გაცვლით პროგრამებში მონაწილეობს და გარკვეული ვადით სასწავლებლად ან მეცნიერული კვლევების ჩასატარებლად პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებში მიემგზავრება.

რამდენიმეწლიანი მოსამზადებელი სამუშაოს, კერძოდ, ფიზიკის და მათემატიკის საბაკალავრო პროგრამების შეფასების შემდეგ, დაგეგმილია მემორანდუმის გაფორმება დუბლინის ტრინიტი კოლეჯთან, რის შემდეგაც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის და მათემატიკის მიმართულების გამორჩეულ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ მეოთხე სემესტრის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძონ მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში, სადაც სრულად იქნება აღიარებული თსუ-ში ნასწავლი საგნები.

2013 წელს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის დახმარებით „აბეტის“ (ABET, the Accreditation Board for Engineering and Technology, Inc., USA) ექსპერტების მიერ შეფასებული იქნა ქართული უნივერსიტეტების საინჟინრო და ტექნოლოგიური განხრის საბაკალავრო პროგრამები. ფაკულტეტიდან შერჩეული იქნა ორი პროგრამა – „კომპიუტერული მეცნიერება“ და „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია“. შეფასების შედეგად ორივე პროგრამა პირველ ადგილზე იქნა რანჟირებული.

კონკურსის საფუძველზე ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტები სემესტრულად იღებენ პრეზიდენტის სტიპენდიას, ზოგიერთ პროგრამაზე დაწესებულია სახელობითი სტიპენდიები; კონკურსის საფუძველზე ბაკალავრიატის და მაგისტრატურის წარჩინებული სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდას ფაკულტეტი ახორციელებს. სწავლის გადასახადის თვალსაზრისით განსაკუთრებით შეღავათიანი პირობებია დაწესებული დოქტორანტებისთვის.

ფაკულტეტი მოწოდებულია დაეხმაროს სტუდენტებს მათი ნიჭის გამოვლენაში. კრეატიული სტუდენტების ხელშეწყობის მიზნით 2013 წელს ფაკულტეტზე ჩატარდა სტუდენტური ნაშრომებისა და სტუდენტური ინოვაციების კონკურსები, რასაც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ანალოგი არ მოეპოვება.

სკოლის მოსწავლეებისთვის ფაკულტეტის ფარგლებში ფუნქციონირებს „საბავშვო უნივერსიტეტი“. საინტერესო ლექციების ციკლის გარდა ფაკულტეტი აწყობს ვიქტორინას რამდენიმე ტურად. სკოლები ერთმანეთს ეჯიბრებიან მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის ცოდნასა და სხარტ აზროვნებაში. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები ამ ღონისძიებებშიც. ჩვენი ფაკულტეტის წარმატებული სტუდენტები მონაწილეობას იღებენ პროექტში "თსუ დესპანი", რომლის ფარგლებშიც დესპანები ხვდებიან სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს და აცნობენ მათ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სიახლეებს. გვყავს სტუდენტები, რომლებსაც აინტერესებთ მუსიკა, სიმღერა, პოეზია, სპორტი; ფაკულტეტი სხვადასხვა ღონისძიებებით ხელს

თსუ კლასიკური ფილოლოგიის ნეოგრეციისტიკის ბიბლიოთეკა

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – სასწავლო პუბლიკაციები

თსუ სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსი „ელექტრონული ტექნიკა“

ქიმიის სასწავლო ლაბორატორია

უწყობს სტუდენტებს ამ ინტერესების დაკმაყოფილებაში.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალს, როგორც წესი, გულისხმიერი დამოკიდებულება აქვს სტუდენტების პრობლემების მიმართ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ეხმარება სტუდენტებს სწავლასა და კვლევაში წარმატების მისაღწევად.

დეტალური ინფორმაციის მიღება ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამების შესახებ შესაძლებელია: http://www.tsu.edu.ge/faculties/science/forstudents.

თსუ იურიდიული ფაკულტეტი

უმაღლესი იურიდიული განათლება საქართველოში საუკუნოვან ეროვნულ ტრადიციას ეფუძნება, იურიდიული ფაკულტეტი ჩამოყალიბებიდან საქართველოში სამართლებრივი განათლების დაუფლების მთავარი კერა იყო. დღეს მოქმედი იურისტების უმეტესი ნაწილი სწორედ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის აღზრდილია.

ფაკულტეტზე მოქმედებს ორი საბაკალავრო პროგრამა – სამართლის და საერთაშორისო სამართალის. მისაღები კონტინგენტის რაოდენობა: სამართალი – 540; საერთაშორისო სამართალი – 50.

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება შემდეგი დარგობრივი კომპეტენციები:

სამართლის სპეციალობით: სპეციალიზაციის სფეროს სიღრმისეული ცოდნა; ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ცოდნა; ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა; სამართლის ცოდნის ეფექტიანად გამოყენების უნარი; პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვისადმი მისწრაფების უნარი; საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

საერთაშორისო სამართლის სპეციალობით: ეროვნული სამართლისა და საერთაშორისო სამართლის სისტემების ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ცოდნა; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა: საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის ათვისებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები; სამართლის ცოდნის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების უნარი; პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვისადმი მისწრაფების უნარი.

თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე თეორიული სწავლების პარალელურად პრაქტიკული სწავლება და სტაჟირების პროგრამები აქტიურად ხორციელდება.

პრაქტიკული სწავლების ფორმით ფაკულტეტი მის სტუდენტებს ძირითადად სთავაზობს იმიტირებულ სასამართლო პროცესებსა და იურიდიულ დებატებში მონაწილეობის, იმიტირებული იურიდიული კონსულტირებისა და აღვოკატირების შესაძლებლობებს როგორც უშუალოდ ფაკულტეტის, ისე მის ბაზაზე არსებული და მოქმედი სტუდენტური საზოგადოებების თუ სხვა დაწესებულებების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების მეშვეობით. მნიშვნელოვანია, რომ 2013 წლის ზაფხულიდან იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთათვის თსუ-ის პირველ კორპუსში ამოქმედდა იმიტირებული სასამართლო პროცესების დარბაზი, რომელიც მრავალგვარი ფუნქციის მქონე თანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი და რომელიც უნივერსიტეტისა და მისი იურიდიული ფაკულტეტისადმი აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის საჩუქარია.

ზოგადად, იურიდიული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით დადგენილი თითქმის ყველა სასწავლო მოდული ითვალისწინებს პრაქტიკული სწავლების მეთოდით სარგებლობას. ეს პროგრამები პირდაპირ ისახავენ მიზნად სტუდენტისათვის იმ მეთოდების სწავლებას, რომლებიც აუცილებელია იურისტისთვის და რომლის საშუალებითაც მათ შეეძლებათ მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.

თსუ იურიდიულ ფაკულტეტს აქვს იურიდიული ლიტერატურის კავკასიაში ყველაზე მდიდარი და ხშირად განახლებადი სასწავლო დანიშნულების ბიბლიოთეკა. იგი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მიერთების შემდეგ, შეიცავს წიგნად ფონდს ოცდაათი ათასი ერთეულის ოდენობით და მათ შორის, ცნობილი იურისტების, თინათინ წერეთლის, დავით ფურცელაძის, ლამარა სურგულაძის, თამარ ცაგურიას, ივან პერეტერსკისა და ნიკოლაი პოლიანსკის პირად კოლექციებს.

სამაგისტრო პროგრამებით დადგენილია სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც მოიცავს იურიდიული კლინიკის ნაწილს. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია შემდეგი კლინიკები:

ქალაქ თბილისის მერიის იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში არსებული საადვოკატო კლინიკა; პრაქტიკული სამართლის კლინიკა (Street Law Clinic); იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკა; მთავარი პროკურატურის კლინიკა; პოლიციის აკადემიის კლინიკა; თბილისის საქალაქო სასამართლოს კლინიკა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს კლინიკა; სასამართლო საქმის წარმოებისა და მენეჯმენტის კლინიკა (რუსთავის საქალაქო სასამართლოს ბაზაზე); აღსრულების ეროვნული ბიუროს კლინიკა; ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კლინიკა; საქპატენტის კლინიკა; ცენტრალური საარჩევნო კომისიის კლინიკა; საადვოკატო და საარბიტრაჟო კლინიკა; იურიდიული ფირმის „მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგური“ საადვოკატო კლინიკა; ერისთავის იურიდიული ჯგუფის საადვოკატო კლინიკა; კორძაძის საადვოკატო ბიუროს კლინიკა; საკონსტიტუციო სასამართლოს კლინიკა; მედიაციის კლინიკა; ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის კლინიკა.

გარდა ამისა, იურიდიული ფაკულტეტი აწყობს სემესტრულ საფაკულტეტო სტუდენტურ კონფერენციებს, სამართლის სკოლებსა და სასერტიფიკაციო პროგრამებს. იურიდიული ფაკულტეტის ბაზაზე მისი სტუდენტების მიერ შექმნილი ორგანიზაციები „საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება“, „ევროპის იურისიტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო“, „დავით ბაგონიშვილის სამართლის ინსტიტუტი“ გამოსცემენ სტუდენტურ პერიოდულ და არაპერიოდულ პუბლიკაციებს, რომლებშიც სტუდენტებს მათ აკადემიური ნამუშევრების გამოქვეყნება და ფართო იურიდიულ საზოგადოებისათვის გაცნობა შეუძლიათ.

იურიდიული ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს როგორც შიდა საუნივერსიტეტო, ისე გარე ინსტიტუციონალურ სასტიპენდიო პროგრამებს, როგორიცაა, მაგალითად, საქართველოს ნოტარიუსთა პალატისა და იურიდიული ფირმის „მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგური“ სასტიპენდიო პროგრამები.

ამასთან, იურიდიული ფაკულტეტი მის უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით სტუდენტებს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტს ინტენსიურად სთავაზობს, რაც მისი ერთ-ერთი უცვლელი პრიორიტეტია.

თსუ მედიცინის ფაკულტეტი

მცირე ისტორიული ცნობები თსუ მედიცინის ფაკულტეტის შესახებ:

საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების ისტორია დასაბამს 1918 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან იღებს. 1919 წლის 9 აპრილს, პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, სამკურნალო ფაკულტეტი დაარსდა დამოუკიდებელი ფაკულტეტის სახით. ფაკულტეტმა უნივერსიტეტში არსებობა შეწყვიტა 1929-1930 სასწავლო წლის ბოლოს, როდესაც მის ბაზაზე ჩამოყალიბდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1995 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღდგა უმაღლესი სამედიცინო განათლება. 2000 წლიდან მედიცინის ფაკულტეტი ფუნქციონირებს როგორც თსუ-ის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული.

თსუ მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებია:

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა”– (მისანიჭებელი ხარისხი „დიპლომირებული მედიკოსი” /ქართულ- და ინგლისურენოვანი პროგრამები); ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია” – (მისანიჭებელი ხარისხი „დიპლომირებული სტომატოლოგი”); საბაკალავრო პროგრამა „ოკუპაციური თერაპია” – (მისანიჭებელი ხარისხი „ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრი”);

თსუ ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, სადაც ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრის სპეციალობის მიღებაა შესაძლებელი.

თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს ელის: ევროპული სტანდარტების სასწავლო პროგრამა; სწავლება საერთაშორისოდ აღიარებული და თანამედროვე მეთოდებით; მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში; მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში; საქართველოს საუკეთესო კლინიკების გამოცდილება და მიღწევები; უცხოელი ექსპერტებისა და მოწვეული პროფესორების საგანმანათლებლო კურსები; ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან; აქტიური სტუდენტური ცხოვრება; საქვეყნოდ ცნობილი პროფესურა; ფაკულტეტის სასწავლო-კლინიკური ბაზები.

მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთათვის საბაზისო დისციპლინების სწავლება მიმდინარეობს უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი დეპარტამენტებისა და ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ბაზებზე. მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო-კლინიკური ბაზები წარმოდგენილია საქართველოს წამყვანი სამედიცინო დაწესებულებებით.

მედიცინის ფაკულტეტს საერთაშორისო თანამშრომლობა აქვს ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა: მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის გროსჰადერნის კლინიკა, ხემნიცის საუნივერსიტეტო კლინიკა, მაინცის უნივერსიტეტის სამედიცინო და სტომატოლოგიური ფაკულტეტები, ლუნდის უნივერსიტეტი, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი, ჯონს ჰოპკინის უნივერსიტეტი, ტრომსოს უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი, გრანადის უნივერსიტეტი, სან დიეგოს პალიატიური მზრუნველობის ინსტიტუტი და სხვა.

ინოვაციები მედიცინის ფაკულტეტზე:

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარე TEMPUS-ის პროექტის 516664-TEMPUS-1-2011-1-UK- TEMPUS-JPC „სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში (MUMEENA)”, მიზანია საქართველოში ევროპული სტანდარტების შესაბამისი დიპლომამდელი სამედიცინო განათლების ახალი მოდელის შემუშავება და დანერგვა, სამედიცინო კურიკულუმის მოდერნიზაცია და განვითარება. პროექტის ფარგლებში მედიცინის ფაკულტეტი თანამშრომლობს სამედიცინო განათლების სფეროში ევროპის წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და პროფესურასთან. ჩვენი პარტნიორები არიან: ტრუდი რობერტსი (სამედიცინო განათლების ინსტიტუტის დირექტორი, ლიდსის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი), ოლე ტენ კატე (უტრეხტის სამედიცინო აკადემიური ცენტრის სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო კვლევის ცენტრი, ჰოლანდია), ხოსე პეინადო (მედიცინის ფაკულტეტი,

თსუ იურიდიული ფაკულტეტის იმიტირებული სასამართლოს დარბაზი

თსუ იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. II კორპუსი

თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტი



თსუ შიდსის ცენტრში

გრანადის უნივერსიტეტი, ესპანეთი), ფედერიკა ვოლფი (მედიცინის სკოლა, რომის კათოლიკური უნივერსიტეტი, იტალია), ანა მარია რეიდი (სამედიცინო განათლების ინსტიტუტი,ლიდსის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი) და სხვა. 2013 წელს მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავდა დაინერგა ორი ახალი სასწავლო კურსი: „კლინიკური აზროვნების საფუძვლები" და „სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები".

სასწავლო კურსების სწავლების მეთოდოლოგიაზე მუშაობა განხორციელდა ევროპელი პარტნიორების ხელმძღვანელობით. უნდა აღინიშნოს, რომ „კლინიკური აზროვნების საფუძვლების" სასწავლო კურსის დანერგვა ინოვაციას წარმოადგენს ევროპული სამედიცინო სკოლებისთვისაც. განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამის მოდერნიზაცია უზრუნველყოფს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციების მქონე კურდამთავრებულების მომზადებას. ამავე მიზანს ემსახურება მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ თანამედროვე სტანდარტების სახელმძღვანელოთა მომზადება, მათ შორის, საერთაშორისოდ აღიარებული ნიმუშების თარგმნა და გამოცემა.

მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარეობს კიდევ ერთი საერთაშორისო პროექტი CPEA-2012/10040 „სადოქტორო პროგრამები საზოგადოებრივ ჯანდაცვაში: სწავლების მესამე ციკლის ნორვეგიული გამოცდილება საქართველოსთვის", რომელიც დაფინანსებულია განათლებაში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიის ცენტრის მიერ. პროექტის ფარგლებში მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტებმა გაიარეს ტრომსოს უნივერსიტეტის (ნორვეგია) პროფესურის მიერ ჩატარებული სასწავლო კურსები როგორც ტრომსოში, ისე თბილისში; ამავე პროექტით გათვალისწინებულია სტუდენტების მონაწილეობა კონფერენციასა და საზაფხულო სკოლაში ტრომსოში.

მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმება:

დიპლომირებულ მედიკოსს/სტომატოლოგს – უფლება აქვს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში ან/და რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან იმუშაოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრს შეუძლია იმუშაოს: ფიზიკური და ფსიქოსოციალური დახმარების სფეროს ფართო საზღვრებში, ყველა ასაკობრივი ჯგუფის უნარშეზღუდულ ადამიანებთან, იძულებით გადაადგილებულ პირებთან და სხვა მარგინალურ ჯგუფებთან.

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედებს მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამები. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) – უმაღლესი სამედიცინო განათლების დიპლომისშემდგომი საფეხურია, სასწავლო პროგრამებისა და პრაქტიკული საექიმო საქმიანობის ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიულ მზადებას ერთ-ერთ საექიმო სპეციალობაში, დადგენილ ვადაში.

თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი ერთ–ერთი ლიდერია საქართველოში ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელების რაოდენობის მიხედვით.

ფაკულტეტი გთავაზობთ სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

ბაკალავრიატი

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატში (ნებისმიერ პროგრამაზე) სწავლის უფლების მოსაპოვებლად აბიტურიენტმა წარმატებით უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები შემდეგ საგნებში:

– ქართული ენა და ლიტერატურა;
– უცხო ენა;
– ზოგადი უნარები;
– მათემატიკა.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი.

ფაკულტეტზე არსებული პროგრამები, მოდულები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

1. ეკონომიკის პროგრამა.

მოდულები: ეკონომიკური პოლიტიკა; მაკროეკონომიკა; საერთაშორისო ეკონომიკა; მენეჯერული ეკონომიკა; ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა; ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა; შრომის ეკონომიკა.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრი

2. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა:

მოდულები: საბუღალტრო აღრიცხვა; მარკეტინგი; მენეჯმენტი; ფინანსები და საბანკო საქმე; ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი; საერთაშორისო ბიზნესი; ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

სწავლების გადასახადი, სახელმწიფო გრანტის პირობები და მისაღები კონტიგენტის რაოდენობა:

1. ეკონომიკის პროგრამაზე მიიღება 400 სტუდენტი და ყველა ჩარიცხული სტუდენტი სრულად დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

2. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე მიიღება 440 სტუდენტი. სწავლების გადასახადი შეადგენს 1125 ლარს სემესტრში, თუმცა სტუდენტს შეუძლია მოიპოვოს სახელმწიფო გრანტი და დაფაროს სწავლების გადასახადის 100%, 70%, 50% ან 30%.

მაგისტრატურა

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურაში მიღების წინაპირობები:

– ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
– საერთო სამაგისტრო გამოცდა;
– გამოცდა სპეციალობაში.

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურაში არსებული სასწავლო პროგრამები და მოდულები:

1. ეკონომიკის პროგრამა:

მოდულები: საერთაშორისო ეკონომიკა; ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია; მაკროეკონომიკა; ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა; ბიზნესის ეკონომიკა; ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის მაგისტრი

2. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა:

მოდულები: მენეჯმენტი; ფინანსები და საბანკო საქმე; აღრიცხვა და აუდიტი; მარკეტინგი; საერთაშორისო ბიზნესი; ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი; საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

3. ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა – ეკონომიკა (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა „ISET"

მოდულები: საერთაშორისო ვაჭრობა და რეგიონალური ეკონომიკა, მაკროეკონომიკა, ენერგეტიკის ეკონომიკა.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის მაგისტრი Master of Economics.

4. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ორმაგი ხარისხით ბიზნესის ადმინისტრირებაში – „საერთაშორისო საწარმოთა მართვა" (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენის (გერმანია) ფრიდრიჰ შილერის სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა მაგისტრის ორმაგი (ქართული და გერმანული) ხარისხით. სწავლების ენა ქართული, ინგლისური კომპონენტებით.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: თსუ მხრიდან: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი Master of Business Administration (MBA), ხოლო იენის უნივერსიტეტის მხრიდან: მეცნიერებათა მაგისტრი ბიზნესის ადმინისტრირებაში Master of Science in Business Administration.

დოქტორანტურა

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურაში მიღების წინაპირობები:

– მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
– უცხო ენის გამოცდა/ან მინიმუმ 2 საერთაშორისო დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი;
– გასაუბრება საფაკულტეტო კომისიასთან;

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი (სასწავლო და კვლევითი კომპონენტი).

სადოქტორო პროგრამები (მისანიჭებელი კვალიფიკაცია):

– ეკონომიკა (ეკონომიკის დოქტორი)
– ბიზნესის ადმინისტრირება (ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი)

ფაკულტეტის საერთაშორისო კავშირები:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებთან. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და მოიპოვონ დაფინანსება ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, კვლევების წარმართვის მიმართულებით.

ფაკულტეტი პერიოდულად იწვევს მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერებს და ისინი კითხულობენ ლექცია – სემინარებს ჩვენი სტუდენტებისათვის;

პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ხორციელდება ერთობლივი პროექტები მაგისტრანტებისთვის, დოქტორანტებისთვის, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის;

ეწყობა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები და სემინარები.

ფაკულტეტზე მოწვეული პროფესორის სტატუსით ლექციებს კითხულობს ცნობილი გერმანელი მეწარმე, ბავშვთა კვების მსოფლიოში ცნობილი ბრენდის „HIPP"-ის მფლობელი, საქართველოს დიდი მეგობარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ბატონი კლაუს ჰიპი. ამავე დროს, ყოველწლიურად, იგი თავად არჩევს 2-3 სტუდენტს და სრული დაფინანსების პირობებში იწვევს გერმანიაში, საკუთარ საწარმოში, საზაფხულო პრაქტიკის გასავლელად.

ფაკულტეტზე არსებობს ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი, რომელიც ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის ხელშეწყობით და გერმანიის აკადემიური ურთიერთგაცვლის სამსახურის DAAD-ის ფინანსური დახმარებით რეგულარულად უწევს ორგანიზებას ეკონომიკური პოლიტიკის ფორუმს „თბილისის ბალკონი", რომელშიც მონაწილეობას იღებენ გერმანიის, საქართველოს და სხვა ქვეყნების გამოჩენილი მეც-

თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტი, სამხატვრო სტუდია

თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის შეხვედრების დარბაზი

ბიზნესმენ კლაუს ჰიპის ლექცია თსუ ეკონომიკის ფაკულტეტზე

რესურსცენტრი თსუ II კორპუსში

ნიერები და პრაქტიკოსი სპეციალისტები.

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი პერიოდულად ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის (მათ შორის საერთაშორისო) კონკურსებს, ბიზნეს ოლიმპიადებსა თუ სტუდენტურ კონფერენციებს. ასევე ჩვენი სტუდენტები ხშირად მონაწილეობენ საქართველოს თუ საერთაშორისო მასშტაბით გამართულ მსგავს ღონისძიებებში (ხშირ შემთხვევაში თსუ დაფინანსებით) საიდანაც ისინი, როგორც წესი, გამარჯვებულები ბრუნდებიან.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმება

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკებს, სტაჟირებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკულით გამყარებას. ამ მიზნით იგი სხვადასხვა კერძო საწარმოებსა თუ სახელმწიფო სტრუქტურებთან დებს ხელშეკრულებებს და აფორმებს მემორანდუმებს.

ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ სახელმწიფო უწყებებში, კომერციულ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში.

მისამართი: თსუ მე-10 (მაღლივი) კორპუსი, უნივერსიტეტის ქ. №2,
ტელეფონი: 2 30 41 63 ან 2 30 36 71
ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge/faculties/economics

თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი

1. საბაკალავრო პროგრამა „ტურიზმი“

მოდულები: ტურიზმის მენეჯმენტი, სასტუმროს მენეჯმენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად აბიტურიენტმა წარმატებით უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები შემდეგ საგნებში:

– ქართული ენა და ლიტერატურა;
– უცხო ენა;
– ზოგადი უნარები;
– მათემატიკა.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი.

ტურიზმის პროგრამაზე მიიღება 100 სტუდენტი. სწავლების გადასახადი შეადგენს 1125 ლარს სემესტრში, თუმცა სტუდენტს შეუძლია მოიპოვოს სახელმწიფო გრანტი და დაფაროს სწავლების გადასახადის 100%, 70%, 50% ან 30%.

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრებს ტურიზმში შეუძლიათ დასაქმდნენ: სპეციალიზებულ ტუროპერატორ კომპანიებში, კურორტის მენეჯმენტის კომპანიებში, კონვენციებისა და ვიზიტორთა ბიუროს მენეჯერის, საჯარო სექტორისა და ეროვნული ტურიზმის ორგანიზაციებში, სასტუმრო ქსელებში საკვებისა და სასმელის მენეჯერის, საკონვენციო მენეჯერის, გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერის, ფრონტ-დესკის მენეჯერის, ოთახების განხრის მენეჯერის და სხვა პოზიციებზე.

2. სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

– ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
– საერთო სამაგისტრო გამოცდა;
– გამოცდა სპეციალობაში.

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი.

3. სადოქტორო პროგრამა „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმის დოქტორი

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

– მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
– უცხო ენის გამოცდა /ან მინიმუმ 2 საერთაშორისო დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი;
– გასაუბრება მიმღებ კომისიასთან;

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი (სასწავლო და კვლევითი კომპონენტი).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი მჭიდროდ თანამშრომლობს ნიდერლანდების საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტის სასტუმრო სკოლასთან „ჰააგა“ (Hotelschool The Hague), კომპანია „ტლპ“-თან, რომელიც ევროპაში ახორციელებს პროფესიული განვითარების, ტრენინგების და სასწავლო ტურებს, სამების სახელობის ტურიზმის მენეჯმენტის საერთაშორისო სკოლასთან (the Trinity International School of Tourism Management Crete, Greece), სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტთან (აშშ) და სხვა.

მისამართი: თსუ მე-10 (მაღლივი) კორპუსი, უნივერსიტეტის ქ. №2,
ტელეფონი: 2 30 44 80
ვებ-გვერდი: http://www.tsu.edu.ge/ge/research/institutes_centers/tourism/home/

პირველი უნივერსიტეტი

პირველი გვერდიდან

გამოცდების შედეგად თსუ-ში 5185 აბიტურიენტი ჩაირიცხა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ყველაზე მაღალქულიანი აბიტურიენტი თათია შარია თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების სტუდენტია.

საგრანტო კონკურსების შედეგები – 2013 წელს ჩატარებული საგრანტო კონკურსში „ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები” დაფინანსებული 68 საპროექტო განაცხადიდან 23 გრანტი თსუ მაგისტრებისა და დოქტორების მიერ არის მოპოვებული, რაც დაფინანსებული განაცხადების 38%-ია საერთო ბიუჯეტით 317 610 ლარი. კონკურსის შედეგად სტუ-დან დაფინანსდა 10 პროექტი, ილიაუნი-დან – 10 პროექტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან – 4 პროექტი, თსსუ-დან – 2 პროექტი. ამავე დროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის“ ზამთრის სკოლების დაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებშიც თსუ ლიდერობს. ქვეპროგრამის 8 პროექტიდან (საერთო ბიუჯეტი 310 700 ლარი) თსუ-ს 4 პროექტი დაფინანსდა (საერთო ბიუჯეტი 144 958 ლარი). კონკურსის შედეგად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დაფინანსდა 2 პროექტი. თითო-თითო პროექტი მოიპოვეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

კონკურსი დოქტორანტებისთვის – 2013 წელს დოქტორანტებისთვის პირველად გამოცხადებულ კონკურსშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდერობს. დაფინანსებული 135 დოქტორანტიდან 60 თსუ-ის სტუდენტია, რაც საერთო დაფინანსებული განაცხადების 44% შეადგენს. გამარჯვებული პროექტების ჯამური ბიუჯეტია 902 197 ლარი. სტუ-დან დაფინანსდა 37 დოქტორანტი (საერთო დაფინანსებული განაცხადების 27%, პროექტების ჯამური ბიუჯეტით 417 998 ლარი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 17 დოქტორანტი (საერთო დაფინანსებული განაცხადების 13%, პროექტების ჯამური ბიუჯეტით 280 292 ლარი). პროექტების შესაბამისად, დოქტორანტებს ფონდი სწავლის გადასახადს, სადოქტორო კვლევისთვის საჭირო ხარჯებს, საზღვარგარეთ სტაჟირებას ან კონფერენციაზე გამგზავრებას და მონაწილეობას დაუფინანსებს.

რაც შეეხება შედეგებს ფაკულტეტების მიხედვით – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სულ წარდგენილი იყო 99 საგრანტო განაცხადი, მათგან ყველაზე მეტი დოქტორანტი დაფინანსდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (26 დოქტორანტი). შესაბამისად, მას მოჰყვებიან ეკონომიკისა და ბიზნესის (11 დოქტორანტი), ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (9 დოქტორანტი), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა (8 დოქტორანტი) და იურიდიული (6 დოქტორანტი) ფაკულტეტები.

კონკურსი სამეცნიერო-კვლევითი აპარატურისთვის – გარდა დოქტორანტების კონკურსისა, შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შესყიდვისთვის კონკურსში გამარჯვებულები გამოავლინა და თსუ-ს შვიდი პროექტი დაუფინანსა. ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საგრანტო დაფინანსება მიიღო 20 პროექტმა. მათ შორის თსუ-მ გაიმარჯვა 6 პროექტში, ხოლო 1 პროექტის თანამონაწილეა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს დაუფინანსდა 5 პროექტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს – 2 პროექტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს – 1 პროექტი; საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს – 1 პროექტი.

TEMPUS-ის პროგრამა – TEMPUS-ის პროგრამით მთელი ქვეყნის მასშტაბით 2013 წელს 19 პროექტი დაფინანსდა, რომელშიც 22 ქართული უნივერსიტეტია ჩართული. 19 პროექტიდან 11 პროექტი თსუ-ს დაუფინანსდა, სტუ-ს – 7 პროექტი, ილიაუნს – 6 პროექტი, ბათუმის საზღვაო აკადემიას – 2. რაოდენობრივთან ერთად აღსანიშნავია ხარისხობრივი მაჩვენებელი: ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებს მხოლოდ ორი წლის წინ მიეცათ საშუალება ყოფილიყვნენ პროექტის კოორდინატორები. თსუ უკვე სამი პროგრამის კოორდინატორია.

TEMPUS-ის პროგრამა საქართველოში 1995 წლიდან მოქმედებს, რომელიც უნივერსიტეტების მხარდაჭერასა და განვითარებას უზრუნველყოფს. TEMPUS-ის პროგრამაში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებიდან პირველი თსუ ჩაერთო. ამ ხნის განმავლობაში თსუ-ში 24 პროგრამა განხორციელდა.

გაცვლითი და საერთაშორისო პროექტები თსუ-ში

პირველი გვერდიდან

ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი), ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია), ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიტვა), კომენიუსის უნივერსიტეტი ბრატისლავაში (სლოვაკეთი), ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი (გერმანია), ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტი (ლიტვა), პრაღის ჩარლზის უნივერსიტეტი (ჩეხეთი), მაზარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი), ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი), ლაიდენის უნივერსიტეტი (ჰოლანდია), გუმილოვის ევრაზიის ნაციონალური უნივერსიტეტი (ყაზახეთი), ოსტლფოლდის საუნივერსიტეტო კოლეჯი (ნორვეგია), ოსლოს უნივერსიტეტი (ნორვეგია), სალერნოს უნივერსიტეტი (იტალია), კა'ფოსკარის უნივერსიტეტი (იტალია), საარლანდის უნივერსიტეტი (გერმანია), იენას უნივერსიტეტი (გერმანია), გისენის უნივერსიტეტი (გერმანია), მიუნხენის უნივერსიტეტი (გერმანია), მეზერბურგის უნივერსიტეტი (გერმანია), პოტსდამის უნივერსიტეტი (გერმანია) – ეს მხოლო ნაილია იმ უნივერსიტეტებისა, სადაც ბოლო წლებში თსუ სტუდენტები იღრმავებდნენ ცოდნას.

თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი თეა გერგედავა განმარტავს, რომ: „გაცვლითი პროექტები საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს კიდევ უფრო გააფართოვოს საერთაშორისო თანამშრომლობათა არეალი და თსუ-ს სტუდენტებსა და პროფესორებს მისცეს მეტი შესაძლებლობა მობილობისათვის“.

ამჟამად თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ადმინისტრირებას უწევს TEMPUS-ის 5, ERASMUS Mundus-ის 6, EACEA მარი კურის 1 პროექტს, ასევე, ორმხრივ საუნივერსიტეტო გაცვლებს – ლეიდენის უნივერსიტეტში არსებულ ქართული ენის, კულტურისა და საზოგადოების კათედრაზე და „თსუ-ს სამეწარმეო სკოლა სტუდენტებისათვის“-ში (ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად). 2013 წლიდან თსუ ჩაერთო ახალ პროექტებში: ERASMUS Mundus EMBER, Erasmus Mundus HERMES, TEMPUS PACT (მენეჯერთა უნარების განვითარება კავკასიაში), TEMPU PICASA (ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა აღმოსავლეთ სამეზობლო რეგიონის ქვეყნებში).

ამჟამად უნივერსიტეტში ხორციელდება ტემპუსის ერთ-ერთი დიდი პროექტი – „უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში მმართველობისა და მენეჯმენტის ცვლილება (LaMANCHE), რომელიც 36 თვიანია და მოიცავს 2012-2015 წლებს. მისი კოორდინატორია ბულგარეთის საერთაშორისო საუნივერსიტეტო კოლეჯი.

პროექტის მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში მართვის პოლიტიკის მოდერნიზაციის ხელშეწყობა მენეჯმენტის უნარების განვითარებით, დიალოგის ინიცირება უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმებზე შესაბამის ჯგუფებში. იგი პროექტის მონაწილეებს საშუალებას აძლევს შეისწავლოს ლიდერობის და მართვის უნარი, მართვის პრაქტიკა, ხელი შეუწყონ ტრანსნაციონალური ქსელის და ერთობლივი პრობლემის გადაჭრას და ა.შ.

ტემპუსის მეორე პროექტის – „საქართველოში სტუდენტური კარიერის სერვისის განვითარება“ (აკრონიმი CASEDE) (კოორდინატორია ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიტვა) (პროექტის ხანგრძლივობა 24 თვე, 2012-2014 წწ.) მიზანია, ქართველი სტუდენტების დასაქმებადობის გაუმჯობესება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში საკარიერო განათლების სერვისების დანერგვისა და განვითარების გზით. ასევე, საკარიერო განათლების სერვისების მიუკერძოებელი შეფასება და პროექტის შედეგების გავრცელება.

პროექტი -„ინტერნაციონალიზაცია ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ სამეზობლოში“ (ICAEN)) (კოორდინატორი სევილიას უნივერსიტეტი (ესპანეთი) პროექტის პარტნიორებს საშუალებას აძლევს დაეუფლონ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებს.

თსუ-ს დოქტორანტები, პროფესურა და ადმინისტრაცია უკვე ჩართულები არიან IRSES-ის პროექტში „შესაძლებლობები და ლიმიტები, გამოწვევები და წინააღმდეგობები ევროკავშირის საგანმანათლებლო გარემოს ცენტრების სტანდარტებზე გადასვლისას, მოლდოვასა და საქართველოსთვის. ევროკავშირში მიღებამდე საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება (EU-PREACC), რომელიც 2013 წლის 1 მარტს დაიწყო და 2017 წლის 28 თებერვლამდე გაგრძელდება. მისი ძირითადი პარტნიორები არიან ტარტუს უნივერსიტეტი, ვილნიუსის და მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტები. იგი ოთხი სამუშაო პაკეტისგან შედგება და იმ რეფორმებს უკავშირდება, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანებასთანაა დაკავშირებული.

Erasmus Mundus არის თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამა უმაღლესი განათლების სფეროში, რომელიც მიმართულია ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის გაუმჯობესებისკენ და ხელს უწყობს დიალოგსა და ურთიერთგაგებას ხალხსა და კულტურებს შორის მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობის საფუძველზე. ამასთანავე, Erasmus Mundus ხელს უწყობს ევროპის უნივერსიტეტებსა და მესამე ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობას. მობილობის პროგრამის ფარგლებში 58 ქართველი სტუდენტი, მკვლევარი და უნივერსიტეტის თანამშრომელი გაემგზავრა პარტნიორ უნივერსიტეტებში სასწავლებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

Erasmus Mundus ჰყავს 3 სამიზნე ჯგუფი და მის ფარგლებში ხდება ხუთი კატეგორიის ინდივიდუალური მობილობის პროგრამის დაფინანსება: საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პოსტ–სადოქტორო, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი.

თსუ-ს სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია სტიპენდიები, რომელიც დაწესებულია უცხოეთში სწავლებისათვის. ასეთი პროგრამაა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ლუდვიგ მაქსიმილიანის ქირურგიის უნივერსიტეტში (მიუნხენი) და ხემნიცის კლინიკაში (გერმანია), სადაც სწავლება ხდება გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის სტიპენდიები აქვთ დაწესებული საქართველოში აკრედიტირებულ საელჩოებს. კერძოდ, ეგვიპტის, ჩეხეთის რესპუბლიკის, თურქეთის რესპუბლიკის, ჩინეთის მთავრობის სტიპენდიები.

თეა გერგედავას განმარტებით, სასწავლო არეალის გაფართოების მიზნით, გარდა დონორი ორგანიზაციების პროექტებისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის სასწავლო დაწესებულებასთან თანამშრომლობს, რაც მიზნად ისახავს პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, კვლევითი მასალების, საგანმანათლებლო და განვითარების პროგრამების საერთაშორისო გაცვლაში ხელშეწყობას. ესენია: ავსტრიის გრაცის უნივერსიტეტი; არგენტინის ლა პლატას უნივერსიტეტი, აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ილინოისის, ნიუ ჯერსის, ჩრდილოეთ კაროლინას და პეპერდინის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა; ბულგარეთის წმ. კლიმენტ ოჰრიდსკის სახელობის სოფიას უნივერსიტეტი, ბორდოს (საფრანგეთი), ლატვის, ბირუნის, იენის უნივერსიტეტები და ა.შ.

იმისათვის, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მუდმივად იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო განათლების სფეროში, თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი სისტემატურად მუშაობს ახალი მიმართულებებით. გასულ წელს მან გააფართოვა თანამშრომლობის არეალი და ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა და არგენტინა მოიცვა.

გარდა იმისა, რომ თსუ-ს სტუდენტები სწავლების ასამაღლებლად სპეციალურ კურსს გადიან უცხოეთის უნივერსიტეტებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებიც სწავლობენ. მხოლოდ 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა 24 უცხოელ გაცვლით სტუდენტს გაუწია მასპინძლობა (14 სტუდენტი ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში, 10 – Erasmus mundusis პროექტის ფარგლებში).

კონკურსები სტუდენტებისთვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს მუდმივად აძლევს საშუალებას საუნივერსიტეტო კონკურსებში მიიღონ მონაწილეობა და საკუთარი შესაძლებლობები და უნარები გამოსცადონ. უკვე ტრადიციად დამკვიდრდა რამდენიმე კონკურსი, რომელსაც თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ყოველწლიურად აგარებს. მათ შორისაა უნიკადრი, რომელიც ამჟამადაც მიმდინარეობს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სტუდენტური ფოტოკონკურსი UNIკადრი გამოაცხადა. კონკურსი ტრადიციულია და ყოველ წელს უნივერსიტეტის იუბილემდე რამდენიმე თვით ადრე ტარდება.

სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გადაიღონ ფოტოები უნივერსიტეტის თემაზე და მოიგონ ფულადი პრემია 200 ლარის ოდენობით. კონკურსში გამოვლინდება სამი გამარჯვებული შემდეგ ნომინაციებში: უნივერსიტეტელის საუკეთესო პორტრეტი, უნივერსიტეტის ფასადის ან შენობის დეტალების საუკეთესო ფოტოკადრი და სასწავლო პროცესისა და სტუდენტური ცხოვრების ამსახველი საუკეთესო კადრი. ფოტოკონკურსის საპრიზო ფონდი 600 ლარი და სხვა პრიზები გამარჯვებულ სამეულზე გადანაწილდება. კონკურსის საუკეთესო ფოტოები 2014 წლის 8 თებერვალს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 96 წლის იუბილეზე გამოიფინება.

წელს კონკურსის ჟიურის წევრები ფოტოგრაფები გურამ წიბახაშვილი, მინდია მიდელაშვილი და ანა გოგუაძე იქნებიან. დაგეგმილია ჟიურის წევრების მასტერ-კლასებიც, რომელიც კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ჩაუტარდებათ და უკეთესი ნამუშევრების შექმნაში დაეხმარებათ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ფოტო და შევსებული ანკეტა უნდა გამოაგზავნონ 26 იანვრამდე საკონკურსო ელ.ფოსტაზე unikadri@tsu.ge. მიღებული ნაშრომებიდან ჟიური საუკეთესო ფოტოებს შეარჩევს, რომლებიც კონკურსის ფეისბუქის გვერდზე: https://www.facebook.com/unikadri გამოქვეყნდება. ხოლო გამარჯვებულ სამეულს ჟიური უნივერსიტეტის იუბილეზე, 8 თებერვალს დაასახელებს.

გასულ წელს კონკურსში მონაწილეობა 100-მდე სტუდენტმა მიიღო, ჟიურიმ გამოფენისთვის საუკეთესო 27 ფოტო აარჩია. ფოტოკონკურსი უნივერსიტეტში ერთი თვის განმავლობაში ტარდებოდა, სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გადაეღოთ უნივერსალური კადრი უნივერსიტეტის შესახებ. კონკურსში სამ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული დასახელდა.

* * *

სტუდენტური კონკურსებიდან ასევე აღსანიშნავია:

„შემოდგომის ლეგენდა“ ლიტერატურული კონკურსია, რომელიც უკვე მეოთხე წელია ტარდება. კონკურსში მონაწილეობა თბილისში აკრედიტირებული ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს შეუძლიათ. ლიტერატურული კონკურსი სტარტს ყოველ წელს სწავლის დაწყების დღეს იღებს და ორ ეტაპად ტარდება.

არსებობის ოთხი წლის მანძილზე კონკურსმა აღმოაჩინა ახალი სახეები, რომლებმაც უკვე დატოვეს თავიანთი ხელწერა სხვადასხვა მიმართულებით, შემოდგომის ლეგენდის მონაწილეები ლიტერატურული კონკურსის ლაურეატები და წიგნის ავტორები არიან, მათი მოთხრობების მიხედვით შეიქმნა რადიოსპექტაკლი და გადაიღეს ფილმი.

კონკურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია ჯეოსელის ერთობლივი პროექტია. გამარჯვებულებს გადაეცემა ფულადი პრემიები და ჯეოსელის სპეციალური ჯილდოები.

„მისია“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველწლიური კონკურსია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები ახალ იდეებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან.

კონკურსი ჯგუფურია (3-5 სტუდენტი) და მასში მონაწილეობის მიღება სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებს შეუძლიათ. შიდაშესარჩევი ჟიური გამოავლენს 5 ფინალისტ გუნდს.

ფინალისტი გუნდებიდან სამ საუკეთესოს კომპეტენტური ჟიური გამოავლენს. პარტნიორი კომპანიის მიერ დაწესებული საპრიზო ფონდი - 5000 ლარი გამარჯვებულ სამეულზე ნაწილდება.

კონკურსის მიზანია სტუდენტების ახალი იდეების განხორციელებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; კონკურსის გამარჯვებული სტუდენტების პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივის ზრდა.

სტუდენტურ-შემეცნებითი პროექტის „სექტორი 12“ მიზანია სათავგადასავლო ტურის მეშვეობით სტუდენტები უკეთ დაეუფლონ უნივერსიტეტის ისტორიას და შეიტყონ უფრო მეტი უნივერსიტეტის მოღვაწეების შესახებ.

პროექტი გულისხმობს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაყოფას პირობით 12 სექტორად. თითოეულ სექტორში დაფარულია სპეციალური კოდი, რომელსაც კონკურსანტები მინიშნებების ამოხსნის გზით მიაგნებენ. კოდების მოწოდების შემდეგ თითოეული მონაწილე იღებს კონკურსის სიმბოლოს. 12 სიმბოლოს მფლობელი 12 ფინალისტი ბოლო მინიშნებისთვის ერთმანეთს სისწრაფესა და გამჭრიახობაში ეჯიბრება. კონკურსის გამარჯვებული ფინანსურ ჯილდოს იღებს.

პროექტში მონაწილეობის მიღება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებს შეუძლიათ.

კულტურა და სპორტი უნივერსიტეტში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიური კულტურული და სპორტული ცხოვრებით. აქ სტუდენტებს ყოველთვის ჰქონდათ საკუთარი ნიჭის გამოვლენისა და რეალიზაციის საშუალება. ამ მხრივ გამონაკლისი არც 2014 წელი გახლდათ.

* * *

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი "უნივერსიტეტი" 2013 წელს იმყოფებოდა საფრანგეთში "93-ე სამხიარულო კარნავალზე". კარნავალში მონაწილეობას იღებდა 600 მონაწილე, 6 ქვეყნიდან. შემოქმედებით კოლექტივი, 2013 წლის შემოდგომაზე ანსამბლი იმყოფებოდა უკრაინაში ერთ თვიან გასტროლზე. ანსამბლმა 30-მდე ქალაქში გამართა კონცერტი და დიდი წარმატებით დაბრუნდა საქართველოში. "უნივერსიტეტი" 2012 წლის იტალიაში, ქალაქ აგრიჯენტოში, გამართულ საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალის გრანპრის მფლობელი გახდა.

ქორეოგრაფიული ანსამბლი 1934 წლიდან არსებობს და 35 წევრისგან, ძირითადად თსუ სტუდენტებისა ან მისი კურსდამთავრებულებისგან შედგება. ყოველწლიურად მოცეკვავეთა კონტიგენტის გადახალისებლად აქ მკაცრი კონკურსი ტარდება. სხვადასხვა პერიოდში ანსამბლს ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი ქორეოგრაფები: ჯანო ბაგრატიონი, ბუხუტი დარახველიძე და აშ. დღეს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი თენგიზ ყურაშვილია, მთავარი ქორეოგრაფი – დავით კიკვაძე.

* * *

უკვე მეექვსე წელია რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გოგონათა ანსამბლი „თსუ-გორდელა“ არსებობს. ამ პერიოდის განმავლობაში ანსამბლის წევრებმა "გორდელას" სახელი არა მხოლოდ თსუ-ს, არამედ ფართო აუდიტორიასაც გააცნეს. ამის მიზეზი, ანსამბლის საინტერესო რეპერტუარის გარდა, ანსამბლის წევრთა აქტიურობაცაა.

საუნივერსიტეტო ღონისძიების გარდა გოგონები მრავალ საქველმოქმედო კონცერტსა თუ ღონისძიებაში, ასევე სხვადასხვა პროექტებსა და კონკურსებში მონაწილეობენ. გარდა ამისა, ანსამბლი უკვე აქტიურად მიმეგზავრება გასტროლებზე საზღვარგარეთ. 2012 წელს ანსამბლი ქართული სათვისტომოს ოფიციალური მიწვევით საფრანგეთში გაემგზავრა. 2013 წელს კი "თსუ-გორდელა" იმყოფებოდა გასტროლზე ლიტვაში, უკრაინაში, აზერბაიჯანსა და საფრანგეთში. ოთხივე ქვეყნიდან ანსამბლი უამრავი პრიზითა და დიდი წარმატებით დაბრუნდა. „თსუ-გორდელა"-ში თსუ სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტი გოგონები არიან გაერთიანებული. მათ მიერ შესრულებული ქართული ტრადიციული მუსიკა არანაირებულია ანსამბლის ხელმძღვანელის, თამაზ მამალაძის მიერ.

* * *

მუსიკალურმა ბენდმა „თსუარტი“ პოპულარობა 2012 წელს ტელე-პროექტ "ნიჭიერის" საშუალებით მოიპოვა. 6 წევრისაგან დაკომპლექტებულმა ბენდმა საზოგადოებას თავი ძირითადად საკუთარი ხელით შექმნილი და მოდიფიცირებული მუსიკალური საკრავების საშუალებით შესრულებული კომპოზიციებით დაამახსოვრა. "თსუ არტის" თითოეული წევრი ერთდროულად რამდენიმე ინსტრუმენტზე უკრავს. ბენდის წევრები ძირითადად ექსპერიმენტული სახის (ელექტრონულ-ინსტრუმენტალური სტილის) მუსიკას ასრულებენ. 2011 წლის იანვარი-თებერვლის პერიოდში პირველად გამართული ცოცხალი კონცერტის შემდეგ ბენდი დღეისათვის სისტემატურად მართავს კონცერტებს მთელი საქართველოს მასშტაბით.

* * *

თსუ სტუდენტური თეატრალური დასი "სხვენი" მაყურებელს წინაშე 2013 წელს სამი სპექტაკლის პრემიერით წარსდგა: "დოდოს მოლოდინში", "რეკვიემი მონაზონისთვის" და "ბერნარდა ალბას სახლი".
2013 წლის განმავლობაში "სხვენმა" ითამაშა სხვადასხვა სპექტაკლებიც. ესენია: "კლოუნადა", "განკითხვის დღე", "ჭრილობა".

"სხვენი" თსუ-ში 2000 წლის 15 სექტემბერს რეჟისორების – გიორგი გომურაშვილის, მამუკა გურჩიანისა და სამხატვრო ხელმძღვანელის – თენგიზ ყურაშვილის ინიციატივით დაარსდა. თსუ სააქტო დარბაზის სხვენი კულტურის ცენტრის ხელშეწყობითა და მსახიობების ძალისხმევით გარემონტდა და სახელწოდება აღგილმდებარეობის მიხედვით შეირჩა. დასი სპექტაკლებს თსუ პირველი კორპუსის დარბაზში მართავს. გარდა ამისა, სხვადასხვა კულტურულ და საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობს. გასულ წელს თეატრალური დასი "სხვენი" ფესტივალზე გსტროლებით: უკრაინაში, ბულგარეთში და თურქეთში იმყოფებოდა. "სხვენმა" სამივე ქვეყანაში უდიდესი მოწონება დაიმსახურა და ფესტივალის გრან-პრი მოიპოვა.

* * *

იუმორში შეჯიბრს უნივერსიტეტში საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს. 2013 წელს ფაკულტეტებს შორის გამართულ მხიარულთა და საზრიანთა გუნდების შეჯიბრში 4 გუნდი გავიდა. კერძოდ: "ისინი ჩამოვიდნენ მაღლივიდან", "ბოლოები", "დეკოლტე" და "ჰოპლა". კითხვა-პასუხის საკმაოდ გრძელვადიანი კონკურსის შემდეგ საბოლოოდ გამარჯვება გუნდმა "ჰოპლა"-მ მოიპოვა. უნივერსიტეტში წლები განმავლობაში არსებულ მხიარულთა და საზრიანთა კლუბს, საფუძველი XX საუკუნის 60-იან წლებში ჩაეყარა. გასული საუკუნის 90-იანების იუმორისტები კი დღეისთვის ყველასთვის კარგად ცნობილი დავით გოგიჩაიშვილი, ალეკო მალხაზიშვილი, ვანო ჯავახიშვილი და სხვა სახეები არიან., 2005 წელს მან-სან-კან-მა შეწყვიტა არსებობა და კვლავ აღსდგა 2008 წელს სტუდენტური თვითმმართველობის ძალისხმევით.

* * *

თსუ-ში ყოველწლიურად გამართული პროექტით "სტუდენტური დღეები" სტუდენტებს საკუთარი ნიჭის გამოვლენისა და თვითრეალიზაციის საშუალება კულტურის სფეროს სხვადასხვა მიმართულებაში ეძლევათ.

საგაზაფხულო სტუდენტური დღეები უახლოეს პერიოდში იწყება, მანამდე კი გასული წლის გამარჯვებულების შესახებ – მონაწილეები კომპეტენტურმა ჟიურიმ შეაფასა შემდეგ ნომინაციებში:

1. ჟიურის სიმპათია – „Nora's Group“.
2. დარბაზის სიმპათია – ნინუცა ბაგრატიშვილი.
3. საუკეთესო სოლო შემსრულებელი – ქეთი თურქაძე.
4. საუკეთესო ცეკვის ნომერი – „თსუ Crew“.
5. საუკეთესო ბენდი – „Strolling Tones“.

* * *

თსუ ყოველთვის ამაყობდა ვაჟთა ვოკალური ანსამბლებით, რომელთა შორის ვაჟთა ვოკალურ ანსამბლ "უნივერსიტეტს" მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მცირეხნიანი პაუზის შემდეგ ანსამბლი "უნივერსიტეტი" ახალი შემადგენლობით 2012 წლის სექტემბერში შეიკრიბა. ანსამბლში ამჟამად 10 სტუდენტია, რომელთაც ვასილ დოლიძე ხელმძღვანელობს. რეპერტუარშია ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერები. ბიჭებმა უკვე მიიღეს მონაწილეობა თსუ ეგიდით გამართულ კულტურულ ღონისძიებებში, მათ შორის უნივერსიტეტის 95 წლის იუბილეს აღნიშნაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპორტის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება რომ ექცევა, ამას უნივერსიტეტელების მიერ გასული წლის შედეგებიც მოწმობს. კერძოდ:

* * *

2013 წლის 4-5 თებერვალს, საქართველოს უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში, სადაც გიორგი პოპიაშვილმა (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი) II ადგილი დაიკავა, ხოლო 20 წლამდელებში ლევან ჩიტიშვილი (იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი) III ადგილზე გავიდა და ნაკრებში მოხვდა.

* * *

2013 წლის 9 თებერვალს სპორტის სასახლეში გაიმართულ სტუდენტურ დერბში თსუ-სა და სტუ-ს გუნდებს შორის შეხვედრა თსუ-ს გამარჯვებით 88:74 დასრულდა. თსუ-ს კალათბურთელმა სერჟი ასელაინმა ტურის საუკეთესო კალათბურთელის წოდება მოიპოვა. გივი ბაქრაძე კი პასებში ტურის ლიდერი გახდა.

* * *

4-9 დეკემბერს ფინეთში, ქალაქ ტამპერეში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში მძლეოსნობის ერთ-ერთ სახეობაში „Powerlifting"-ში საქართველოს სახელით გამოსულმა თსუ გუნდმა საუკეთესო შედეგი აჩვენა. მონაწილე 27 ქვეყნის გუნდებს შორის თსუ-ს გუნდმა ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა. მისმა წევრებმა 11 ოქროს, 2 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

* * *

თსუ ქალ ფრენბურთელთა გუნდი საუკეთესო აღმოჩნდა 5-18 დეკემბერს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით გაიმართულ საქართველოს სტუდენტურ ჩემპიონატში. ჩემპიონატში მოინაწილე 8 უნივერსიტეტის გუნდს შორის თსუ-მ პირველი ადგილი დაიკავა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრენბურთის გუნდი ოფიციალურად 2010 წელს ჩამოყალიბდა, ამჟამად უნივერსიტეტში ქალთა და ვაჟთა ფრენბურთის ნაკრებები მოღვაწეობენ, გოგონათა გუნდმა ყარსში გამართულ ამიერკავკასიის უნივერსიადაში სამჯერ მონაწილეობისას სამივე ჯერზე პირველი ადგილი დაიკავა. თსუ-ს ფრენბურთელთა ნაკრებს საქართველოს უნივერსიადაზე ასევე სამჯერ აქვს მოპოვებული ოქროს მედალი, ხოლო 2011-2012 წლის სეზონზე და ასევე 2012-2013 წლის სეზონზე საქართველოს ჩემპიონატში 8 გუნდიდან მე-4 ადგილი დაიკავა. 2013 წელს ქვიშის ფრენბურთის ტურნირზე პირველად თსუ-ს გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა.
სტუდენტური გუნდი 25 მოთამაშისგან შედგება, რომელთა შერჩევაც ხდება კონკურისის საფუძველზე ხდება. გუნდის მთავარი მწვრთნელი თამარ დიდებაშვილი.

ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ მიღწევებისა, რომელიც თსუ-ს კულტურასა და სპორტში გააჩნია. დეტალური ინფორმაცია სტუდენტებისთვის ამ მიმართულებებით არსებულ შესაძლებლობებზე შეგიძლიათ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.tsu.edu.ge იხილოთ ან თსუ კულტურისა და სპორტის „ფეისბუკის“ გვერდზე გაიგოთ.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge